ლელო

№ 56
(11016)

14 - 17 სექტემბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ტონი სლოტი: „ხომ გითხარით, დიდებული მეკარე გყავთ!"

„დინამო" (ბათუმი) — „პსვ ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 1-1

12 სექტემბერი. ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 15.000 მაყურებელი.

„დინამო": ტოგონიძე, სიჭინავა, მინდაძე, ჭიჭველიშვილი (შანიძე), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე (ღლონტი), ტულუში, უჯმაჯურიძე, მუჯირი.

„ეინდჰოვენი": ვატერეუსი, ვერდენი, სტამი, ვალქსი, ნუმანი, იონკი, ფინკი, დეგრიზი (ზენდენი), ეიკელკამპი (მარსელო), ნილისი, კოკუ.

გოლები: მუჯირი (20), ნილისი, პენალტით (39).

გაფრთხილებები: ფინკი, ჭიჭველიშვილი

მსაჯი: კ. ცუპინგერი (შვეიცარია)

უეფას დელეგატი: ალექსანდროვი (ბულგარეთი).

ჰოლანდიელთა გუნდი დღესდღეობით ევროპის გრანდებს რომ განეკუთვნება, ამაზე ბოლოდროინდელი წარმატებები მეტყველებს. მაგრამ ვინ იცის, როგორ წაუვიდოდათ მათ საქმე. პირველი ტაიმის შუაწელში მას მერე, რაც ბათუმელებმა ანგარიში გახსნეს, უჯმაჯურიძეს მოედნის ცენტრში წინ გამოსული მეკარე ვატერეუსის მოტყუებისთანავე შორი მანძილიდან ცარიელ კარში ზუსტად რომ დაარტყა...

ღიკ ადვოკაატმა „ეინდჰოვენის" თავკაცმა აეროპორტშივე განუცხადა დამხდურ ჟურნალისტებს, რომ ნახა ბათუმელთა მიერ ჩატარებული სამი მატჩის ვიდეოკასეტა — ტექნიკურები კი ხართ, მაგრამ მაინც მოგიგებთო. ასეთივე თავდაჯერებულნი იყვნენ ის 26 ჟურნალისტი, რომელიც ჰოლანდიელებს თან ჩამოჰყვა.

იხ. მე-4 გვ.

თასების მფლობელთა თასი 1/16 ფინალის პირველი მატჩები.

გუშინ, საპარლამენტო კომიტეტში

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა უკვე რამდენიმე სხდომა მიუძღვნა სპორტის პრობლემებს. ეს აქტიურობა უდავოდ მისასალმებელია. გუშინ განიხილეს სპორტული კლუბების საქმიანობის გარდაქმნა-გაუმჯობესების საკითხი. სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ როგორც სპორტული ორგანიზაციების, ისე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა რომან მიმინოშვილმა შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპორტს არ დაუკარგავს სოციალური მნიშვნელობა, ამავე დროს იგი ეკონომიკურ კატეგორიას განეკუთვნება და მისი შესაძლებლობები კვლავ უნდა ჩავაყენოთ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, რაშიაც თავისი წვლილი უნდა შეიტანონ სპორტულმა კლუბებმა. კომიტეტის თავმჯდომარის ასეთი შეფასება ლაიტმოტივად გასდევდა სხდომას და გამომსვლელებმაც არაერთი მწვავე პრობლემა წამოწიეს წინა პლანზე. ერთხელ კიდევ გამოჩნდა, რომ სასწრაფოდაა დასამუშავებელი წესრიგი, რათა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს სპორტის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, ეს ეხება როგორც მასობრივ, ისე მაღალი მიღწევების სპორტს. სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა რ. მიმინოშვილმა.

თათბირის ჩანაწერები დაეგზავნებათ სხდომის მუშაობაში მონაწილე ორგანიზაციებს.

ქართული კრივის ფერიცვალება

რამდენად რეალობად იქცევა ეს, ამას დრო გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი ამის დიდი სურვილი აქვს კრივის ეროვნულ ფედერაციას, რომელმაც უკვე მოასწრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, რათა ძირფესვიანად შეცვალოს ჩვენში ამ ვაჟკაცური სახეობის მდგომარეობა. მოგეხსენებათ, დღეს სპორტის გასავითარებლად ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს დაფინანსება წარმოადგენს და ფედერაციის პირველი ნაბიჯიც წმინდა „ფინანსური" იყო, როცა შექმნა სპორტისა და კრივის განვითარების ფონდი (თავმჯდომარე გია ფარულავა). ეს ყველაფერი აღინიშნა პრესკონფერენციაზე, რომელიც საქართველოს 1996 წლის ჩემპიონატს მიეძღვნა. ასპარეზობა (მას ეს ფონდი აფინანსებს) თბილისის ცირკში ჩატარდება 16, 17, 18 სექტემბერს. სხვათა შორის, მსგავსი შეჯიბრება მეოთხე წელია ჩვენში არ გამართულა და მომავალი პირველობა, გარკვეულწილად, პოპულარობას გაუწევს ამ სახეობის განვითარებას. იგი ღია პირველობა იქნება და ამდენად მოსალოდნელია, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, უცხოელი მოკრივეების სტუმრობა. (პირველ ყოვლისა ელიან ბარსელონის ოლიმპიადის პრიზიორის რამაზ ფალიანის გამოსვლას, რომელიც ატლანტის თამაშებში რუსეთის ღირსებას იცავდა).

რაც შეეხება ქართველ ოლიმპიელებს, მაყურებელი რინგზე იხილავს ატლანტის თამაშების მონაწილეებს. ფოთელ კობა გოგოლაძეს, ვარიანელ გიორგი კანდელაკს, ქუთაისელ თენგიზ მესხაძესა და თეთრწყაროელ ბესიკ ვარძელაშვილს. ამ უკანასკნელს, რომელიც მანამდე 63,5 კგ წონაში გამოდიოდა, ახალ, 67 კგ წონით კატეგორიაში ვიხილავთ. ამავე წონაში იქნება გამოცდილი თ. მესხაძეც. ისე რომ, მაყურებლის საინტერესო შეხვედრა ელის, როცა ეს მოკრივეები ერთმანეთის პირისპირ დადგებიან.

ასპარეზობაზე შეირჩევიან მოკრივეები, რომელთაც მალე კუბის დედაქალაქ ჰავანაში 17-18 წლის ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაზე გამოსვლა ელით.

უძველესი სარბიელი — ცირკის რინგი კრივის მოყვარულებს საინტერესო, დაძაბული ორთაბრძოლების ხილვას ჰპირდება. 16-17 სექტემბრის შერჩევითი შეხვედრების ბილეთების ფასი 1, ხოლო ფინალური ბრძოლების 2 ლარია.

ბილეთების შეძენა, ცირკის გარდა, შეგიძლიათ საქართველოს სპორტის დეპარტამენტში, სააკაძის მოედანზე, ეროვნულ სტადიონზე, მეტრო მარჯანიშვილის, ელექტროდეპოსა და გოცირიძის შესასვლელებთან...

ჩვენი თანამემამულე იაპონიის ჩემპიონი გახდა

ამას წინათ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართა ქვეყნის ღია ჩემპიონატი შოტოკან კარატე-დოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა სტილის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ ეს ასპარეზობა სპეციალისტების მიერ ყველაზე პრესტიჟულადაა აღიარებული.

ჩემპიონატი რამდენიმე სახეობაში ტარდება: კატაში (ტექნიკური კომპლექსი), სპორტულ ორთაბრძოლაში და ახალ სახეობაში, რომელიც წელს დაუშვეს — თავისუფალი ორთაბრძოლა აბსოლუტურ კატეგორიაში, მის არსენალში ჭიდაობის ილეთებია შეტანილი.

საქართველოდან ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი კახი ბასილია. ჩვენი თანამემამულე გახდა პირველი უცხოელი იაპონიის ორთაბრძოლის ისტორიაში, რომელიც დაეუფლა იაპონიის ჩემპიონის ტიტულს კატაში, ხოლო თავისუფალ ორთაბრძოლაში იგი მეორე იყო. ბასილიას მწვრთნელია ომარ რევიშვილი, ხოლო ხელისშემწყობი — საქართველოს მოქალაქეთა კავშირი.

სურათზე: შეტევაზეა კახი ბასილია

რა ხდება ქვეყანაზე

მიზეზი დაუდგენელია

ამ ცოტა ხნის წინ ბუენოს-აირესში საკუთარ ხუთსართულიან ვილაში მკვდარი ნახეს ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის კლაუდიო კანიჯიას დედა. 60 წლის თომასა პოლიციის დასკვნით ქალმა თავი მოიკლა. ეს ამბავი ფეხბურთელს შეატყობინეს რომში, სადაც იგი თავის მეუღლესა და ორ შვილს ახლდა თან. თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ არ არის დადგენილი.

ცხენოსანი ჩოგბურთელი

15 წლის შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მარტინა ხიგინსმა აშშ-ს ღია ჩემპიონატში ნახევარფინალამდე მიაღწია, რაც მას დიდ წარმატებად ჩაუთვალეს. ტურნირის დამთავრების შემდეგ ნიუიორკში იგი ეწვია... იპოდრომს და მონაწილეობა მიიღო დოღში 2,5 კილომეტრზე. როგორც შემდეგ ჩოგბურთელმა აღნიშნა, საშინლად გაუჭირდა მეორე წრეზე, ვინაიდან დიდი ხანია არ მჯდარა ცხენზე. ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ შვეიცარიაში მას ჰყავს ცხენი, რომელსაც ზოგჯერ იპოდრომზე აჭირითებს.

წინასწარი რაუნდის მატჩები

ევროპის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა კორაჩის თასის წინასწარი რაუნდის პირველი მატჩები კალათბურთში. აი ზოგიერთი შედეგი: „ელანა" (პოლონეთი) — „სლოვაკოფარმა" (სლოვაკეთი) 82:81, „კონტერნი" (ლუქსემბურგი) — „პეპინსტერი" (ბელგია) 63:114, „როგასკა დონატი" (სლოვენია) — „კერავნოსი" (კვიპროსი) 72:73, „ხოუტჰალენი" (ბელგია) — „ნოვი ჟიზნი" (ჩეხეთი) 110:85.

ერთი თვით ადრე

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა გზატკეცილზე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე (მოეწყობა შვეიცარიის ლუგანოში) დაამტკიცა უძლიერესთა ახალი რეიტინგი, რომლის ხუთეული გამოიყურება ასე:

1. ლ. ჟალაბერი (საფრანგეთი) – 2591
2. ა. ოლანო (ესპანეთი) –, 2086
3. მ. ინდურაინი (ესპანეთი) – 1486
4. ბ. რიისი (დანია) – 1327
5. ფ. კასაგრანდე (იტალია) – 1316.

მილოცვა

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო დაბადებიდან 50 წლისთავს და შრომითი საქმიანობის 30 წლისთავს ულოცავს ამავე საზოგადოების საფინანსო-საბუღალტრო სამმართველოს უფროსს **ფრიდონ ჭახრაკიას.**

* * *

„შევარდენის" რესპუბლიკურმა საბჭომ **ფრიდონ ჭახრაკია** საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ხუთი რგოლის გარშემო

საათმა ათვლა დაიწყო

უცხოელ სპეციალისტებსა და ჟურნალისტებს რომ ჰკითხოთ, 2004 წლის ოლიმპიადის მოწყობის ყველაზე რეალური შანსი აქვს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ კეიპტაუნს. რას ემყარება ეს რწმენა? პირველ რიგში ალბათ იმას, რომ თამაშების ორგანიზაციით დაინტერესებულია არა მარტო ქალაქი და მისი ადმინისტრაცია, არამედ მთელი ქვეყანა და, რაც მთავარია, ხელისუფლება.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ ის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტის პირველი ქვეყანა იქნება, რომელსაც ოლიმპიადის მოწყობის პატივს დასდებენ (თუ, რა თქმა უნდა, იგი გაიმარჯვებს ქალაქთა ოლიმპიურ კონკურსში). მანამდე ოლიმპიადების ორგანიზატორები იყვნენ მხოლოდ ევროპის, ამერიკისა და აზიის კონტინენტის ქვეყნები (2000 წელს ამის უფლება უკვე მოიპოვა ავსტრალიის სიდნეიმ).

ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის ნელსონ მანდელას განკარგულებით, კეიპტაუნის ცენტრში დაიდგა ვეებერთელა საათი-კურანტი. ამ საათმა უკვე დაიწყო 365 დღის ათვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის დასახელებამდე სწორედ ამდენი დღე დარჩა. საათის გამვების შემდეგ, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო სპორტსმენთა საზეიმო სვლა, რომელშიც სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილენიც.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას 11 ქალაქი აცხადებს.

საინტერესოა, დიდი ხნით?

როგორც ჩანს, ეს საკმაოდ დატარსული თანამდებობაა, ყოველ შემთხვევაში ამ მოკლე დროის მანძილზე უკვე მეორე კაცი სტოვებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის პოსტს. თუმცა, ასეთი რამ, თანაც ნებაყოფლობით, უმიზეზოდ არ ხდება.

მას შემდეგ, რაც სიდნეი ოლიმპიური თამაშების მასპინძლად გამოცხადდა, საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა გერი პემბერტონი. მან ცოტა ხანს იმუშავა. მერე კი პირადი მდგომარეობა მოიმიზეზა და დასტოვა თანამდებობა.

ახალი პრეზიდენტი 5 მარტს დაინიშნა. პემბერტონის საქმეები ჩაიბარა 59 წლის ბიზნესმენმა, ვულეორტის საქვეყნოდ ცნობილი უნივერმაღების ქსელის კომერციულმა დირექტორმა ჯონ აილიფმა. მაგრამ მან, როგორც ხედავთ, 6 თვეზე მეტი ვერ გაძლო პრეზიდენტის სავარძელში. აილიფმა, წინამორბედისგან განსხვავებით, დაასახელა თავისი გადადგომის მიზეზი. მისი განმარტებით, შეუძლებელია ნორმალური ურთიერთობის დამყარება და საერთო ენის გამონახვა ორგანიზატორებს, მთავრობასა და ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელებს შორის.

ახლახან აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტის ახალი პრეზიდენტი. ეს თანამდებობა მიიღო სამხრეთ უელსის შტატის მთავრობის ოლიმპიურ საქმეთა მინისტრმა მაიკლ ნაიტმა, მაგრამ საინტერესოა, დიდი ხნით?

მთავარი არენა

ამასობაში სიდნეიში დაიწყო 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მთავარი არენის მშენებლობა. ახალი ოლიმპიური სტადიონი დაიტევს 110 ათას მაყურებელს და კონტინენტზე უდიდესი იქნება.

არქიტექტორისა და ინჟინრების განმარტებით სტადიონი იქნება ვეებერთელა კომპლექსური ნაგებობა უამრავი სპორტული ბაზებითა და სათავსოებით. მისი მშენებლობის სავარაუდო თანხაა 665 მილიონი ავსტრალიური დოლარი (532 მილიონი ამერიკული დოლარი).

ხუთი რგოლის გარშემო

16 სექტემბერს მიხეილ კაკაბაძეს 75 წელი შეუსრულდებოდა

დიდი კაცი, დიდი რედაქტორი

როგორი იქნებოდა 75 წლის მიხეილ კაკაბაძე? ყველა ჩვენგანს შეუძლია დაუსრულებლად ილაპარაკოს ამ სპეტაკ ადამიანზე, მაგრამ მთავარ შტრიხებს, როგორიცაა სათნოება, სიკეთე, სიბრძნე, სიყვარული, თანადგომა და, საერთოდ, ყველაფერი, რითაც შეიძლება შემკული იყოს სრულყოფილი პიროვნება, გვერდს ვერავინ აუვლის.

ის მაინც სხვა იყო. ასეთ ადამიანებთან შეხვედრა და მათ გვერდით საქმიანობა ალბათ ბედის ნებიერთა ხვედრია.

60-იანი წლების პირველ ნახევარში ახალი თაობა მოვიდა ჟურნალისტიკაში. გვეამაყება, რომ ჩვენი ჟურნალისტური საქმიანობის პირველ ეტაპზე, გზის დასაწყისში შეგვხვდა ბატონი მიხეილ კაკაბაძე. უდიდესი ბედნიერება იყო, რომ სწორედ ასეთი პიროვნება, ჟურნალისტიკაში და სპორტულ სამყაროში პატივისცემით და ავტორიტეტით გარემოსილი რედაქტორი წაგვიძღვა პროფესიული დაოსტატების გზაზე.

თანამედროვე სპორტული ჟურნალისტიკა ბატონი მიშას პირმშოა. „ლელოს“ პირველი რედაქტორიც ის გახლდათ. შესანიშნავი მოქართულე იყო მეტყველებაშიც და წერაშიც, სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ბატონმა მიშამ გააქართულა სპორტული ჟურნალისტიკა და, საერთოდ, ჩვენი სპორტული სამყარო, ამით კი მშობლიური ენაც გაამდიდრა. დასტურად ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 8 ტომეულიც გამოდგება. ნახეთ იქ რამდენჯერაა დამოწმებული გაზეთი „ლელო“. ყოველ სიტყვაში კაკაბაძისეული აზრი და შინაარსია ჩადებული. ეს თავისებური უკვდავებაა. ბატონ მიშას თავისეული დამოკიდებულება ჰქონდა საქმეშიც და თანამოსაქმეებთანაც. „არც ერთი წერილი არ უნდა დაიბეჭდოს ზოგადად, სხვათა შორის. ყველა მათგანი გამიზნული უნდა იყოს კონკრეტული მისამართით. ჟურნალისტმა ნათლად უნდა იცოდეს ვისთვის წერს“ — ნათქვამი აქვს თავის ერთ ინტერვიუში ბატონ მიშას. იდეალურ ჟურნალისტად კი მიიჩნევდა იმას, ვინც „კარგი მოქალაქე და მაღალი მორალური თვისებების ადამიანია. რადგან ჟურნალისტი ხშირად პასუხს აგებს თავისი სუბიექტური შეხედულებებისთვისაც“.

ბატონ მიშას უამრავი შეგირდი ჰყავდა და ალბათ შინაგანად ამაყობდა კიდეც ამით. თავის გატოლებისა და ამავე დროს აღმზრდელად დარჩენის შესანიშნავი უნარი გააჩნდა. გვასწავლიდა სიმართლით ცხოვრებას, შეუპოვრობას, პრინციპულობას, წინააღმდეგობათა დაძლევას, ბრძოლას, მაგრამ როგორც თავად იტყოდა, „ჟურნალისტი მებრძოლია, ოღონდ, მთავარია ბრძოლა ტაქტიანად“.

თავად უაღრესად ტაქტიანი იყო და უტაქტობას გარშემომყოფთაგანაც ვერ იტანდა. იქნებ ამიტომაც „ლელოს“ რედაქციაში არასდროს მომხდარა თანამშრომელთა დაპირისპირება, ბანაკებად დაყოფა, მუდამ ერთსულოვნება, თანადგომა, გამტანობა, სიყვარული სუფევდა და ასე გაგრძელდა შემდეგაც. ასეა დღესაც და ასე იქნება მომავალშიც. დინება ვერ შეიცვლის კალაპოტს. ამ კალაპოტს „ლელოს“ პირველი ნომრიდან დაუდო სათავე დიდმა კაცმა და დიდმა რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ.

„ტაქტიან ბრძოლაში“ ჟურნალისტს უპირველესად თავად ედგა მხარში. მწარე სიმართლეს არასდროს ხვდებიან ოვაციებით. ბატონი მიშა საჯიჯგნად არავის მიუგდებდა გაზეთის თანამშრომელს, ეს თანადგომა პირადადაც არაერთხელ მიგრძნია მისგან. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლს გამოვლილს არც შემდგომ დაკლებია განსაცდელი, მაგრამ დათრგუნულს, სულიერად გატეხილს და ცხოვრებაზე შემომწყრალს ვერასდროს ნახავდით, პირიქით, თავი მუდამ ამაყად და ღირსეულად ეჭირა, და ამითაც იძლეოდა მაგალითს — ყველა სიტუაციაში კაცობისა და პიროვნული ღირსების შენარჩუნების მაგალითს.

დიდი და ღირსეული პიროვნებების მეორე სიცოცხლე ამ ქვეყნიდან მათი წასვლის შემდეგ იწყება. ნათელი კვალი ლამპარივითაა, რომელიც არასდროს ჩაქრება, და მუდამ გაუნათებს გზას მომავალ თაობებს.

თენგიზ გაჩეჩილაძე

მიხეილ კაკაბაძე და არჩილ გოგელია — ოსტატი და შეგირდი, „ლელოს“ ორი ღირსეული რედაქტორი.

უბრალოდ, «კუწა»!..

რომ იყოს ასეთი წოდება – პირველი ჟურნალისტი, პირველი რედაქტორი, მგონია, ბევრნი მიხეილ კაკაბაძეს დაასახელებდნენ. აღიარებული მეტრი იყო, ჟურნალისტთა დიდი საძმოს სული და გული.

კეთილი, თბილი და ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ასეთ თვალებს შეუძლებელია არ უყვარდეს მოყვასი, პატივს არ სცემდეს უცხოს, ლამაზ საქმეებს არ აკეთებდეს ცხოვრებაში. პირადად მე არ შემხვედრია კაცი, რომელიც ჩვენს კუწაზე (ასე უბრალოდ, მოფერებით ეძახდნენ მას ახლობლები) ძვირს იტყოდა. არ ვიცი, იგი უფრო დიდი ადამიანი იყო თუ ჟურნალისტი... ან იქნებ ორთავე ერთად.

ზოგჯერ შეყვარებულებზე ამბობენ, პირველი დანახვით შეიყვარაო. თუ ასეა, მეც პირველი ნახვისთანავე მოვეხიბლე ბატონ მიშათი. ბიჭიკო ქორქიასთან და მიშა ზარგარიანთან ერთად შინ გვეწვია, მამაჩემმა იმ უსიამო ბორმანქანით მცირედი მანიპულაციის შემდეგ უცებ შვება აგრძნობინა და თან დასძინა „შენნაირ ადამიანს, ჩემო კუწა, კბილი საერთოდ არ უნდა სტკიოდესო!“

მერე დიდხანს ისაუბრეს. მამამ მთელი ჩემი საფეხბურთო „მეურნეობა“ აჩვენა – მთელი დღე პაიჭაძეებითა და ბობროვებით აბოდებსო, სულ გათამაშების ცხრილებსა და კალენდრებს უზის, რაღაცას წერს და ჩვენი „დინამოს“ ხათრით გაუთავებლად ლათინური ასო „D“ გამოჰყავსო ფურცელზე. ოთახი ხომ სულ ცისფერ სამყაროდ აქცია, დაწყებული კედლებით და საწერი კალმებით დამთავრებული...

– რატომ გიყვარს ასე ძალიან სპორტი, ფეხბურთი? – ღიმილით მკითხა სტუმარმა.

– იმიტომ, რომ აქ ტყუილი არ არსებობს, ვერ იცრუებ! – მორცხვად ვუპასუხე.

მგონი მოეწონა, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ გამომკითხა ფეხბურთის სამყაროდან. მეტი მე რა მინდოდა – ზეპირად ვიცოდი ყველა გუნდის შემადგენლობა, მატჩების შედეგები, კალენდარი, ბასკეტზეც ვთქვი რაღაც-რაღაცეები...

– კი მაგრამ, მაშინ რამდენი წლისა იყავი?

– ორის... არა, ლანგარა და რეგეირო პირადად არ მინახავს, მაგრამ მერე ბევრი რამ წამიკითხავს მათზე.

მერე გავბედე და ჩემი შედგენილი სპორტული კროსვორდიც ვაჩვენე. მომიწონა. ხვალვე მოდი ჩვენთან რედაქციაში, ელბაქიძის დაღმართზეო.

„ლელო“ ახალი გამოსული იყო. ქართველმა სპორტის მოყვარულებმა, როგორც იქნა, მიიღეს თავიანთი საყვარელი გაზეთი. სხვათა შორის, „ზემოთ“ რედაქტორის დანიშვნაზე ბევრი არ უფიქრიათ: კაკაბაძე, მიშა კაკაბაძე და მეტი არავინ! – ასეთი იყო მათი გადაწყვეტილება. უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა სპორტსმენებისა და ჟურნალისტთა წრეებში და რამდენიმე დღეში გაზეთის რედაქციაც ჩამოყალიბდა. აეწყო საქმე – 1949 წლის ზაფხულში მკითხველმა ქართული სპორტული გაზეთის პირველი ნომერი მიიღო – ომამდე შეწყვეტილი „ საქართველოს ფიზკულტურელისა“ და „ფიზკულტურელის“ ნაცვლად.

ვერ წარმოიდგენთ რარიგ გავიხარე, როდესაც ერთ-ერთ ნომერში ჩემი პირველი მასალა – დავით მელუხას თანაავტორობით – ვიხილე. მერე, რომ იტყვიან, წავიდა და წავიდა. მტკიცედ გადავწყვიტე, ბატონ მიხეილის მსგავსად ჟურნალისტი გამოვსულიყავი...

მერე თბილისის უნივერსიტეტში შევედი ჟურნალისტიკის სპეციალობაზე. გაზეთის გამოშვებას აქ ბატონი მიშა კაკაბაძე გვასწავლიდა. არც ერთი მეცადინეობა არ გამიცდენია.

ხუთმა წელმა სწრაფად გაირბინა და „ახალგამომცხვარი“ ჟურნალისტი გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ მიმიღეს სპორტულ მიმომხილველად – იმ გაზეთში, რომელსაც თავის დროზე მიშა კაკაბაძე რედაქტორობდა, იმ გაზეთში, რომელშიც ჩემი პირველი კორესპონდენცია დაიბეჭდა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს.

„მოლოდიოჟ გრუზიას“ მოჰყვა „ახალგაზრდა კომუნისტი“, მერე ისევ „ლელო“ – დიდებული მიხეილ კაკაბაძის პირმშო, მის მიერ მოგონილ-დაარსებული პატარა ფორმატის ერთადერთი სპორტული გაზეთი.

აი, უკვე რამდენი წელიწადია ვმუშაობ აქ, რამდენი რამ დამიწერია და მაინც ყოველი მასალის ჩაბარების წინ ვეკითხები თავს: მიშა კაკაბაძეს თუ მოეწონებოდა ეს?!

მეორე დღეს ვემზადებოდი მასთან წასასვლელად, როდესაც დილაადრიანად თავად მომადგა სახლში. ხუთ წუთს გაძლევო მომზადებისათვის – დღეს საზაფხულო სპორტული სეზონი იხსნება და ერთად უნდა წავიდეთ. ვნახოთ აბა, როგორ დაწერო?..

ვინ იცის რამდენი სასიამოვნო წუთი გამიტარებია მიშა კაკაბაძის გვერდით, რამდენ მეჯიბრებას დავსწრებივართ ერთად, რა დამავიწყებს ბატონ მიშასთან იმ 24-დღიან ვოიაჟს მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატზე 1970 წელს, გასეირნებას მექსიკოს ქუჩებში, აცტეკების უზარმაზარ პირამიდებზე ასვლას, ღამის ნიუ-იორკს, ბროდვეის...

ადრე, ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან ჩვენი მიშა. მიხარია, რომ მისი შვილები – გიგა და დათო ღირსეულად აგრძელებენ დიდებული მამის საქმეს, მიხარია, რომ მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის მინიჭებაც მოიფიქრეს უკვე. ერთ რამეზე მაინც მწყდება გული: რატომ არ არის თბილისში ქუჩა მის სახელს რომ ატარებდეს. ანდა, რატომ არ არის მის სახლზე მემორიალური დაფა? მე სიამოვნებით ვივლიდი კოლეგებთან ერთად მიხეილ კაკაბაძის ქუჩაზე, ერთთავად გავიხსენებდი ჩემს ჟურნალისტურ კერპთან ერთად ცხარე და მეგობრულ ბაასში გატარებულ დღეებს, ჩვენი აღიარებული მეტრის კეთილ, კაკაბაძისეულ ღიმილს...

ოთარ ნოზაძე

1950 წლის ნოემბერი. დიდოსტატი დავიდ ბრონშტეინი „ლელოს“ რედაქციაში. პირველ რიგში (მარცხნიდან): თინა შატბერაშვილი („ლელოს“ თანამშრომელი), თენგიზ გიორგაძე (თანამშრომელი), დავიდ ბრონშტეინი, მიხეილ კაკაბაძე (რედაქტორი), ეთერ უზნაძე (თანამშრომელი), შოთა ახვლედიანი. დგანან (მარცხნიდან): სოსო ბეჟაშვილი, შალვა კილაძე, სიომა სვერდლინი, მარტუნი აკოფოვი, ილია ხოშტარია (თანამშრომელი), ნოდარ გუგუშვილი (თანამშრომელი), ვანო მღებრიშვილი (თანამშრომელი), გია ნადარეიშვილი, ვალოდია გაბელია და ლეო ასტვაცატუროვი (პასუხისმგებელი მდივანი)

ყველასათვის საყვარელი...

დღესაც იგონებენ, უყვართ, პატივს სცემენ, აფასებენ, როგორც უბრწყინვალეს პროფესიონალს, არანაკლებად შესანიშნავ პიროვნებას, ადამიანს...

სხვადასხვა დროს რედაქტორობდა „ახალგაზრდა კომუნისტს“, „მოლოდიოჟ გრუზიას“, მაგრამ მისთვის უსაყვარლესი ალბათ მაინც „ლელო“ იყო, მისი პირმშო, პირველი სიხარული.

...არ დამავიწყდება ბატონ მიხეილთან ჩემი შეხვედრა. მაშინ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. სასწავლო გაზეთ „ახალგაზრდა ჟურნალისტისათვის“ ყველასთვის საყვარელმა ბატონმა ილია ნატროშვილმა დამავალა მომემზადებინა ინტერვიუ ბატონ მიხეილთან.

„ლელოს“ რედაქციაში რომ მივედი, ბატონი მიხეილი ისე გულთბილად და გულღიად შემხვდა, ყოველგვარი შიში და მღელვარება გამიქრა...

— მოიფიქრეთ კითხვები და საღამოს 10 საათზე მობრძანდითო, მითხრა.

მართლაც დათქმულ დროს მივედი. ბატონი მიხეილი საგაზეთო გვერდებს კითხულობდა. ყოველგვარი საქმე გადადო და მთელი ყურადღება მე დამითმო, ჩემს შეკითხვებს გასცა პასუხები. თან ყველაფერ ამას ისე კარგად, ოსტატურად აკეთებდა, ოდნავადაც არ უსვამდა ხაზს ჩვენს შორის განსხვავებას. არადა, მაშინაც ვიცოდი, რომ ის დიდი მიხეილ კაკაბაძე ბრძანდებოდა.

ინტერვიუ შედგა, გაზეთიც მალე მივართვი საჩუქრად.

კარგად მახსოვს ერთი ეპიზოდიც:

ილია დათუნაშვილმა ერევნის „არარატის“ კარში ხუთი ბურთი გაიტანა. ინტერვიუ ავიღე და ბატონ მიხეილს მივუტანე „ლელოში“ დასაბეჭდად. არ ვიცი რა თვალით შემომხედა, ინტერვიუ დათუნაშვილთან მეორე დილით უკვე დაბეჭდილი იყო.

მას შემდეგ ბევრჯერ შევხვედრივარ, მასალებიც დამიბეჭდია, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება ვერაფერმა გააქარწყლა. იგი დღევანდელი დღესავით მახსოვს...

თეიმურაზ მორგოშია

კალათბურთი – კორაჩის თასი

11 სექტემბერი. თბილისი, სპორტის სასახლე

„დინამო“ (თბილისი, საქართველო) – „ოლიმპასი“ (პლუნგე, ლიტვა) 73:80 (33:46).

„დინამო“: ბერძენიშვილი (14), დარსაძე (13), კილაძე (12), ცხვედიანი (9), ოთიურიძე (9), ჩერქეზიშვილი (8), ბეჟუაშვილი (6), ხოშტარია (2), მაისურაძე.

„ოლიმპასი“: სტაუგაიტისი (26), ზაბრაუსკასი (14), ვენკაუსკასი (12), მილიუნასი (11), ვაშკასი (11), პრანცკევიჩუსი (2), ამანავიჩუსი (2), მიგლინიეკსი (2).

მსაჯები: რიჟიკი (კიევი) და მატსალუ (ტალინი).

მატჩის კომისარი მუხამეძიანოვი (ყაზანი).

მატჩის ოქმიდან ამოწერილი მშრალი ციფრებიც თვალნათლივ მოწმობს ორთაბრძოლის ხასიათს. ყველაზე მკაფიოდ ის ჩანს, რომ მასპინძლები ამ დღეს ძალზე შორს იყვნენ ისეთი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტისგან როგორიცაა სათამაშო დისციპლინა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ კალათბურთში იჩენს თავს და როგორც წესი, უშუალოდ შედეგსაც განაპირობებს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ თბილისელები, ტრადიციულად, ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეებს საჯარიმოების სროლის სიზუსტეში. ციფრები ასეთ სურათს იძლევა – დინამოელებმა თოთხმეტი (!) სროლა ააცილეს მიზანს, „ოლიმპასმა“ – ორად-ორი. ამას გარდა დინამოელებმა უამრავი „წვრილმანი“ შეცდომა დაუშვეს (ბურთის დაკარგვა, საკუთარ ფართან უყურადღებობა და ა.შ.), რასაც ისეთი მობილიზებული მოთამაშეები, როგორებიც საერთოდ ლიტველები არიან, არ გაპატიებენ არავითარ შემთხვევაში, რაშიაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ მატჩმა.

ყველაზე მეტად თვალში მოსახვედრი კი ის იყო, რომ მასპინძლებს აშკარად აკლდათ სატურნირო გამოცდილება, რამაც დიდი დაღი დაასვა, განსაკუთრებით ახალგაზრდა დინამოელების თამაშს. ამ მხრივ ისინი იყვნენ მხოლოდ დარსაძის იმედით, რაც მთელი გუნდის მოქმედებას ვერ გასწვდებოდა და ასეც მოხდა...

ამ გუნდების საპასუხო მატჩი გაიმართება 18 სექტემბერს.

ჯ. უნგიაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა - 1

ფრენკ უილიამსი, როგორიც არის

ოფიციალურ კომუნიკეში მოკლედ არის ნათქვამი: „მე, ფრენკ უილიამსი ოფიციალურად ვადასტურებ, რომ „უილიამს-რენო“ პრეტენზიას აღარ აცხადებს მისტერ ჰილის დახმარებაზე 1997 წლის სეზონში. მისი მემკვიდრის სახელი ცნობილი გახდება უმოკლეს ხანში“. უფრო დიდი სკანდალი „ფორმულა —1-ის“ ყოველმხრივ რესპექტაბელურ სამყაროში ალბათ ძნელი წარმოსადგენია. მიზეზებზე (ან მიზეზზე) ჯერჯერობით არავინ არაფერს ლაპარაკობს. ოფიციალურად გამოცხადდა მხოლოდ ის, რომ კონფლიქტს საფუძვლად არ უდევს ფინანსური პრეტენზიები არც დემონ ჰილისა და არც ფრენკ უილიამსის მხრიდან.

ასე, ყველასათვის მოულოდნელად, დამთავრდა აგვისტოს შუა რიცხვებში დაწყებული მოლაპარაკება ერთის მხრივ „უილიამს გრან პრი ინჟინირინგის“ მფლობელს ფრენკ უილიამსსა და მეორეს მხრივ მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონსა და წლევანდელი გათამაშების ლიდერს ბრიტანელ დემონ ჰილს შორის კონტრაქტის ვადის გაგრძელების თაობაზე. „უილიამს-რენოს“ მეპატრონემ ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე, ერთპიროვნულად გაწყვიტა კონტრაქტი დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ავტომობილისტთან. ჰილს ეს ყველაფერი ტელეფონით აცნობეს.

სხვათა შორის, ფრენკ უილიამსისთვის ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილება, რომელიც თითქოს არ თავსდება ლოგიკის ჩარჩოებში, უცხო არ არის. 1987 წელს მან გაწყვიტა კავშირი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან ნელსონ პიკესთან. მერე ასევე მოულოდნელად, დაითხოვა მსოფლიოს ჩემპიონი ნაიჯელ მენსელი. ერთი წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ალენ პროსტს და აი ახლა დემონ ჰილი.

ფრენკ უილიამსი გულმოდგინედ ადევნებს თვალს რბოლის მსვლელობას

მაინც ვინ არის ფრენკ უილიამსი, რომელიც თავის თავს აძლევს უფლებას ასე უმოწყალოდ გაუსწორდეს მსოფლიოში აღიარებულ ავტომობილისტებს?

იგი დაიბადა 1942 წლის 16 აპრილს. იყო საკმაოდ ძლიერი მორბენალი-მარათონელი, 1966 წლამდე ავტომობილისტთა შეჯიბრებებშიც გამოდიოდა, თუმცა აქ დიდად არ გამოუჩენია თავი. კორპორაცია „უილიამს გრან-პრი ინჟინირინგი“ შექმნა 1968 წელს, ერთი წლის შემდეგ კი გუნდი დააყენა ფეხზე „ფორმულა - 1-ში“ სასპარეზოდ. 1986 წლის გაზაფხულზე მძიმე ავარიაში მოჰყვა და მას შემდეგ ინვალიდთა ეტლიდან არ ჩამოსულა.

როგორც აღვნიშნეთ, გუნდი, რომელიც მის სახელს ატარებს, 1969 წელს შეიქმნა. „ფორმულა - 1-ში“ მისი დებიუტი 1973 წელს შედგა („არგენტინის გრან პრი“) პირველი ჩასათვლელი ქულები „უილიამსმა“ იმავე წელს მიიღო (2 ქულა მეათე ადგილისათვის). პირველი წარმატება ეტაპზე 1979 წელს იზეიმა („დიდი ბრიტანეთის გრან პრი“). გუნდის ბიუჯეტი 100 მილიონ დოლარს აჭარბებს.

ფრენკ უილიამსი ერთ-ერთი ყველაზე ძალაუფლებიანი და მდიდარი კაცია „ფორმულა-1-ის“ სამყაროში, პიროვნება, რომელიც ერთსადაიმავე დროს ინტერესსაც იწვევს, მოკრძალებასაც და გარკვეულ შიშსაც. როგორც ამბობენ, უკეთესი დირექტორი „ფორმულას“ არასდროს ჰყოლია.

იმისათვის, რომ უფრო უკეთ გავიცნოთ, ეს საიდუმლოებით მოცული პიროვნება, გთავაზობთ ერთ ხაწყვეტს მისი ინტერვიუდან (სხვათა შორის, იგი ამ საკითხშიც ორიგინალურია და ერთი-ორი ჟურნალისტის გარდა არავის იღებს სასაუბროდ)

● ჩემპიონი გუნდის დირექტორს უამრავი და რაც მთავარია, საპასუხისმგებლო საქმე აქვს. იგი ირჩევს საუკეთესო ინჟინრებს, საუკეთესო მექანიკოსებს, საუკეთესო მენეჯერებს და... საუკეთესო პილოტებს. მახსოვს, თქვენ გინდოდათ ერთ გუნდში გყოლოდათ პროსტი და სენა, მერე კი მგონი უარი თქვით განზრახვაზე?

— თეორიულად ეს იქნებოდა იდეალური ვარიანტი, უმოკლესი გზა მოგებათა მაქსიმალური რაოდენობის მოსაპოვებლად. ერთს რომ რამე მოსვლოდა და ვერ მიეღწია ფინიშამდე, მეორე უსათუოდ გაიმარჯვებდა. მაგრამ პრაქტიკულად ორი ასეთი რანგის პილოტის მოვლა ურთულესი საქმე იქნებოდა, სხვათა შორის, ფინანსური თვალსაზრისითაც. ამას გარდა, მათი პაექრობა ნებისმიერ ციხესიმაგრეს ააფეთქებდა შიგნიდან. სენა და პროსტი ერთ ჰერქვეშ იგივეა, რაც გყავდეს ორი, პატრიკ ჰედისა და ჯონ ბარნარდის მსგავსი ტექნიკური დირექტორი ერთ გუნდში. თუმცა ეს შედარება მთლად სწორი არც გახლავთ. გენიოსი ინჟინრები, რომლებიც ერთი იდეის ხორცშესხმაზე მუშაობენ, ადრე თუ გვიან, იძულებული გახდებიან ერთ გზას მიადგნენ, გენიოსი პილოტები კი... ყოველთვის ერთმანეთის მეტოქეები იქნებიან.

● თქვენმა ავტომანქანამ პირველი „ნგრან პრი“ ჩვიდმეტი წლის წინ მოიგო სილვესტოუნში. მაშინ ფრენკ უილიამსს გვერდში ედგა პატრიკ ჰედი. იგი ახლაც „უილიამსის“ ბოქსში ტრიალებს. იქნებ თქვენი წარმატების საიდუმლოება ამ კავშირში უნდა ვეძებოთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, მე ის დღეც კარგად მახსოვს, როცა პატრიკი პირველად მოვიდა ჩვენთან — ეს იყო 1977 წლის 28 თებერვალი. ნიჭიერ ინჟინერს მუდამ აქვს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ახლის ძიების სურვილი, ამიტომაც იცვლიან ისინი ხშირად სამუშაო ადგილს. ჰედი, ამ მხრივ, ბედნიერი გამონაკლისია. იგი შეეზარდა „უილიამსს“ ისე, როგორც მე. ჩვენი თანამშრომლობა „უილიამს გრან პრი ინჟინირინგის“ ყველა წარმატების ქვაკუთხედია. ალბათ ამიტომ, მე ვარ ერთადერთი დირექტორი, რომელმაც კომპანიის აქციების ნაწილი ინჟინერს დავუთმე. ამით პარტნიორის ლოიალობა არ მიყიდია. ცხოვრებაში არის ფასეულობები, რისი ყიდვაც არ შეიძლება. უბრალოდ, იგი, ისევე როგორც მე, ჩვენი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს, ჩვენს გუნდს, ჩვენს საქმეს ვახმართ. არ ვიცი, ვარ თუ არა „ფორმულაში“ საუკეთესო დირექტორი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ პატრიკ ჰედზე უკეთესი ტექნიკური დირექტორი ავტოსპორტში ჯერ არ დაბადებულა.

როგორც ხედავთ, ფრენკ უილიამსი, ერთსა და იმავე დროს რთული პიროვნებაც არის და ერთგული პარტნიორიც. ამიტომაც ამბობენ, რომ ყოველი მისი გადაწყვეტილება ბრძნულია და სამართლიანიო...

„გერმანიის გრან პრის“ დამთავრების შემდეგ ბორის ბეკერი, თავისი თანამემამულის, მიჰაელ შუმახერისათვის გამზადებულ შამპანურის ბოთლს ამ ეტაპზე გამარჯვებულ დემონ ჰილს გადასცემს

ვინ არის ვინ?

მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფრენკ უილიამსმა დეიმონ ჰილის ნაცვლად თავის გუნდში 29 წლის გერმანელი პილოტი ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი მიიწვია. მომავალი წლიდან იგი „ფორმულა - 1-ის“ საუკეთესო გუნდის „უილიამს-რენოს“ ღირსებას დაიცავს.

ამასთან დაკავშირებით ფრენკ უილიამსმა განაცხადა: „დეიმონმა კეთილსინდისიერად იმუშავა ჩვენი გუნდის წარმატებისთვის. მის მაჩვენებელს (64 სტარტი და 20 გამარჯვება) ცოტანი თუ მიუახლოვდებიან. ჩვენ მოგვენატრება იგი და ცხადია, გულით ვუსურვებთ წარმატებას დარჩენილ და მომავალ სეზონებში“.

ფრენტცენის დებიუტი „ფორმულაში“ 1994 წელს შედგა „ბრაზილიის დიდი პრიზის“ გათამაშებაში და მაშინვე გამოიჩინა თავი, როგორც გაბედულმა და მიზანდასახულმა მრბოლმა. თავისი პირველი „ფორმულა“ მან მეცამეტე შედეგით დაამთავრა, 95 წელს კი მეცხრე იყო (15 ქულა). პოდიუმზე პირველად ავიდა შარშან, როცა „იტალიის გრან პრიში“ მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ბევრი სხვა ავტომობილისტის მსგავსად მისი კარიერის დასაწყისი კარტინგთან არის დაკავშირებული (1980-1985 წლებში), მერე გამოდიოდა „ფორმულა ფორდის“ გერმანულ ჩემპიონატში, აგრეთვე სხვა კლასებში. იმ პერიოდში საგანგებო ყურადღება მიიქცია სამმა გერმანელმა ყმაწვილმა — ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენმა. მიჰაელ შუმახერმა და კარლ კანდლიგერმა. ისინი ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ ერთმანეთს გერმანიის ჩემპიონატში („ფორმულა - 3“). 1990 წელს ეს სამეული „მერსედეს-ბენცის“ გუნდმა აიყვანა, მაგრამ სულ მალე იგი დაიშალა.

ფრენტცენს დედა ესპანელი ჰყავს და ბუნებრივია, უყვარს თავისი მეორე სამშობლოც. მას ჰყავს ორი შვილი კორინა ბეჩისგან. რომელიც ამჟამად მიჰაელ შუმახერის მეუღლეა.

საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე

კარპოვი, როგორც მოველოდით, არ თამაშობს

ერევნის ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ისევე როგორც ყველა აღრინდელ შეჯიბრებაში, მთავარ ფავორიტად რუსეთის ნაკრები ითვლება, თუმცა ამ გუნდსაც სერიოზული წინასწარი პრობლემები ჰქონდა. გუნდის ხელმძღვანელობამ სპეციალურად მიმართა მსოფლიო ჩემპიონს ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვს და თხოვა მას ეთამაშა მეორე დაფაზე. კარპოვმა ცივი უარი განაცხადა. ამრიგად, იგი უკვე მესამე ოლიმპიადას გამოტოვებს – არც მანილასა და მოსკოვში უთამაშია. ცოტა არ იყოს, კურიოზული ფაქტია – ოლიმპიადა ფიდეს ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიებაა, ფიდეს ჩემპიონი კი პროტესტის ნიშნად არ თამაშობს.

ისე რომ, რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ (მთავარი მწვრთნელი – ოსტატი ბორის პოსტოვსკი) სულ უკანასკნელ მომენტში გამოაცხადა შემადგენლობა – გარი კასპაროვი, ვლადიმერ კრამნიკი, პიოტრ სვიდლერი, ევგენი ბარეევი, ალექსეი დრეევი და სერგეი რუბლევსკი. მწვრთნელთა საბჭომ უარყო ალექსანდრე ხალიფმანის, ვლადიმერ ეპიშინისა და იგორ გლეკის კანდიდატურები.

თუ კასპაროვსა და კრამნიკს, ცხადია, არავითარი წარდგენა არ სჭირდებათ, გუნდის დანარჩენ წევრებსაც, ასე თუ ისე, იცნობენ ჭადრაკის მოყვარულები. იმ საჭადრაკო ტალანტებს შორის, რომლებიც ამ ბოლო წლებში რუსეთში დაწინაურდნენ, პეტრე სვიდლერი მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. საქმე ის არის, რომ ამ სრულიად ახალგაზრდა მოჭადრაკემ სანკტ-პეტერბურგიდან პირველი ადგილი დაიკავა (ზედიზედ ორჯერ!) რუსეთის 1994 და 1995 წლების ჩემპიონატებში, ეს კი ავტომატურად იძლევა ნაკრებში თამაშის უფლებას. მოელიან, რომ სვიდლერი თავის სიტყვას იტყვის მსოფლიო ჩემპიონატშიც, რომელიც წლის ბოლოს უნდა ჩატარდეს. ევგენი ბარეევი და ალექსანდრე დრეევი ბევრს და წარმატებით თამაშობენ საერთაშორისო ტურნირებში, ადრეც იყვნენ ნაკრების შემადგენლობაში. რაც შეეხება გუნდის დებიუტანტ სერგეი რუბლევსკის, იგი დაწინაურდა ჭაბუკთა შეჯიბრებებში, უთამაშია ბათუმში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წინააღმდეგ, ახლა დიდი წარმატებით გამოდის როგორც რუსეთის, ისე საერთაშორისო ტურნირებში, ითვლება ნამდვილ გუნდურ მოთამაშედ.

როდესაც რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელ ბორის პოსტოვსკის ჰკითხეს, რა მიზნებს ისახავს ერევნის ოლიმპიადაზე, მან უპასუხა:

– ჩვენი მიზანია პირველი ადგილი, ყველა სხვა შედეგი წარუმატებლობას ნიშნავს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში ვართ, რახან ალტერნატივა არა გვაქვს.

● ვინ მიგაჩნიათ ძირითად კონკურენტებად?

– ძალიან ძნელია მაინცდამაინც მთავარი კონკურენტების გამოყოფა, ისინი ხომ ათამდე არიან. ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, როგორ წარიმართება თამაში. ვინ იფიქრებდა, რომ 1994 წელს მოსკოვში ბოსნიისა და ჰერცოგოვინის გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდოდა, ან ჩვენი ახალგაზრდული გუნდი – მესამეზე? თუკი ძალთა შეფარდებას რეალურად შევაფასებთ, კარგი გუნდი ჰყავთ ინგლისელებს, ტრადიციულად ძლიერები არიან ამერიკელები, უნგრელები, აქტიურად მოემზადა სომხეთის გვარიანი ნაკრები (სომხებს, როგორც ორგანიზატორებს, ამ შეჯიბრებაში მეორე გუნდიც გამოჰყავთ). შეიძლება გამოუვიდეს თამაში უკრაინის, საქართველოს, ისრაელის, პოლანდიის ნაკრებებს. ნურც ბოსნიას დავივიწყებთ.

გარდა უშუალოდ თამაშისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოლიმპიადის დროს მოეწყობა ფიდეს პრეზიდენტისა და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ახლანდელ პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, თუმცა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის მისი კონკურენტების გვარები. ამავე კონგრესზე უნდა დამტკიცდეს უახლოესი შეჯიბრებების კალენდარი და მოხდეს წოდებების მინიჭება. სწორედ ამ ამბებს დაეთმობა ოლიმპიადაზე ერთი გამოსასვლელი დღე, მეორე კი – სომხეთის პრეზიდენტის არჩევნებს.

ერთი სიტყვით, საჭადრაკო სამყაროს ცხარე დღეები უდგება.

გივი გამრეკელი

ჩოგბურთი

ახალი რეიტინგი და რეკორდი

აშშ-ს ღია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაქვეყნა ახალი სარეიტინგო მაჩვენებლები.

ქალები: 1. მონიკა სელეში (აშშ) და შტეფი გრაფი (გერმანია) – 326,92; 2. არანტა სანჩესი (ესპანეთი) – 226,28; 3. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) – 193,58; 4. ივა მაიოლი (ხორვატია) – 185,31; 5. ანკე ჰუბერი (გერმანია) – 153,00; 6. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 136,66; 7. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) – 135,88; 8. კიმიკო დატე (იაპონია) – 132,93; 9. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) – 122,06; 10. მარი პიერსი (საფრანგეთი) – 108,10.

ვაჟები. 1. პიტ სამპრასი (აშშ) – 4543; 2. მაიკლ ჩანგი (აშშ) – 4010; 3. თომას მუსტერი (ავსტრია) – 3752; 4. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) – 3161; 5. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 3059; 6. ბორის ბეკერი (გერმანია) – 2785; 7. უეინ ფერეირა (სამხ. აფრიკა) – 2701; 8. რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) – 2434; 9. ანდრე აგასი (აშშ) – 2292, 10. მარსელო რიოსი (ჩილი) – 2108.

და კიდევ ერთი ინფორმაცია ეისების (აუღებელი პირველი მოწოდება) რეკორდის შესახებ. 1994 წელს გორან ივანიშევიჩმა 1169 ასეთი მოწოდება განახორციელა, წლეულს, სეზონის დამთავრებამდე 2 თვით ადრე, მან თავის რეკორდს 3 ეისით გადააჭარბა.

მძლეოსნობა

250 ათასი დოლარი თითოეულს

დამთავრდა მძლეოსანთა ერთ-ერთი პრესტიჟული ტურნირი — საერთაშორისო ფედერაციის გრან პრი, რომელიც ცხრა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შეჯიბრებისგან შედგებოდა. დებულების თანახმად, ვინც ამ ცხრა ეტაპზე ყველაზე ბევრ ქულას დააგროვებდა, ჯილდოდ მიიღებდა 250 ათას დოლარს (ცალკე ვაჟებში გამარჯვებული და ცალკე ქალებში უძლიერესი). პრიზები შესაბამისად ხვდათ დანიელ კომენს (კენია) და შვედ ლიუდმილა ენკვისტს (ყოფილ ნაროჟილენკოს). კომენი გამოდიოდა 5000 მეტრზე რბენაში, ენკვისტი კი 100 მეტრზე თარჯრბენში.

გთავაზობთ უძლიერესთა ათეულებს.

ვაჟები. 1. დანიელ კომენი — 103 ქულა; 2. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი, სამხტომი) — 99; 3. დენის მიჩელი (აშშ, 100 მ) — 95; 4. ნურედინ მორსელი (ალჟირი, 1500 მ) — 93, 5. დერიკ ადკინსი (აშშ, 400 მ თარჯრბენი) — 91; 6. სამუელ მატეტე (ზამბია, 400 მ) თარჯრბენა — 90, 7. დონოვან ბეილი (აშშ, 100 მ) — 85; 8. მაქსი ტარასოვი (რუსეთი, ჭოკი) — 79,7; 9. იგორ ასტაპკოვიჩი (ბელარუსი, ურო) — 77; 10. ბალაშ კიში (უნგრეთი, ურო) — 77.

ქალები. 1. ლიუდმილა ენკვისტი — 93; 2. მერილინ ოტი (იამაიკა, 100 მ) — 90; 3. კეტი ფრიმენი (ავსტრალია, 400 მ) — 85; 4. ფალილატ ოგუნკოია (ნიგერია, 400 მ.) — 83; 5. ინესა კრავეცი (უკრაინა, სიგრძე) — 80; 6. ოქსანა ოვჩინიკოვა (რუსეთი, შუბი) — 78; 7. ილკე ვილუდა (გერმანია, ბადრო) — 76; 8. მიშელ ფრიმენი (იამაიკა, 100 მ. თარჯრბენი) — 75; 9. ტანია დამასკე (გერმანია, შუბი) — 72; 10. პაულინ დევისი (ბაჰამი, 400 მ) — 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები ჩემპიონთა ლიგა

„ტორპედო" ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ, მათ შორის... წყალბურთშიც

10 სექტემბერი. მოსკოვი. „ტორპედოს" სტადიონი. 8 000 მაყურებელი. უეფას თასის 1/32 ფინალის პირველი მატჩი: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1-0.

მსაჯები: ლ. სუნდელი, ს. სამუელსონი, ი. ლარსონი (სამივე — შვედეთი).

„ტორპედო": პჩელნიკოვი, ვოსტროსაბლინი, მახმეტოვი, ლეონჩენკო, კარნაუხოვი, ნიკოლაევი (ბურჩენკოვი) სმერტინი (საველევი) კამოლცევი, კამნევი, ავაკოვი, აგაშკოვი (პროკოპენკო).

„დინამო": ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, კუდინოვი, მაჭავარიანი, ჩხაიძე, კიკნაძე, ჯამარაული (ინალიშვილი), კობიაშვილი, ხომერიკი (ჯელაძე), იაშვილი (დემეტრაძე).

გოლი: ჯამარაული (37)

გაფრხილებები: კალაძე, ჩხაიძე, ჯამარაული, ჯელაძე, კამოლცევი.

მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, საკლუბო თუ ნაკრებების დონეზე ჩვენი გუნდები ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში რუსებს არ შეხვედრიან. ეს იყო პირველი „დაჯახება", რომელსაც პასუხი უნდა გაეცა მთავარ კითხვაზე — რა დონეზე დგას დღეს ქართული ფეხბურთი და მართლა ისეთი სხვაობაა რუსულ გუნდებთან შედარებით, როგორც ამას ცდილობენ წარმოსახონ პრომოსკოვურად განწყობილებმა? რა შეიძლება ითქვას? ალბათ ის, რომ თუ განვლილი შეხვედრით ვიმსჯელებთ, — ქართული ფეხბურთი სწორი გზით ვითარდება და ჩვენს კლუბებს იმის შეათედი ხელისშეწყობა რომ ჰქონდეთ, რუსულ გუნდებს ამჟამად როგორიც გააჩნიათ, უკვე შეიძლებოდა გვეფიქრა ევროპული მასშტაბის შეჯიბრებებში სერიოზული წარმატებების მიღწევაზე.

„ტორპედოსთან" მატჩით ქვეყანამ დაინახა, როგორ შეიძლება ლამაზად მოგება! თანაც ისეთ არასაფეხბურთო ამინდში.

თავდაპირველად, დინამოელთა სასტარტო შემადგენლობის გაცნობისას, გავოცდით — მასში 6 მცველი ვიხილეთ, მაგრამ რამდენიმე წუთში გაირკვა, რომ თურმე ორი მათგანი (კუდინოვი და კობიაშვილი) დავით ყიფიანმა ნახევარდაცვაში გაამწესა. ამრიგად, ვიხილეთ სათამაშო სქემა დაახლოებით 4-4-2-ს რომ მოგვაგონებდა. ვინაიდან დინამოელთა შემადგენლობა და სათამაშო სქემა წინა მატჩებთან შედარებით უჩვეულოდ გამოიყურებოდა, საჭიროდ ჩავთვალეთ უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ რომელი ფეხბურთელი რა პოზიციაზე ვიხილეთ.

„მეწინდავად", როგორც მოსალოდნელი იყო, მაჭავარიანი თამაშობდა, მის წინ დაცვაში განლაგდნენ კალაძე, ლობჟანიძე, ჩხაიძე, მარჯვენა ნახევარმცველად — კუდინოვი, მარცხენა — კობიაშვილი, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, ჩვეულებისამებრ, — კიკნაძე, მის წინ გამთამაშებლად — ჯამარაული. წინ თბილისელებს ორი თავდამსხმელი ჰყავდათ: იაშვილი და ხომერიკი.

ჩვენი აზრით, განვლილი მატჩი დავით ყიფიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამწვრთნელო პრაქტიკაში. ვალენტინ ივანოვმა, სტუმართა თავკაცმა, ეტყობა, მატჩის ბოლომდე ვერაფერი გაუგო თბილისელთა სათამაშო სქემას, რა დავალებები ჰქონდათ მიცემული კობიაშვილსა და კუდინოვს, რა როლს ასრულებდა ჯამარაული და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, ამ შეხვედრამ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა კიდევ ერთ ასპექტში. მოსკოველებს რომ დავჯაბნიდით ტექნიკაში, ეს თამაშამდე ვიცოდით. მაგრამ ყველაზე გასაოცარი-დინამოელებმა ფიზიკურ მომზადებაშიც ტოლი არ დაუდეს მეტოქეს. არც „მეორე სართულზე" წააგეს ბრძოლა.

ვფიქრობთ, თვით მატჩის მსვლელობის შესახებ ბევრი ლაპარაკი არაა საჭირო — ქართველმა გულშემატკივრებმა ტელევიზიით როგორც იქნა იხილეს „დინამოს" გასვლითი მატჩი ევროტურნირებზე. თბილისელებმა ამ მატჩში ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს: ხომერიკს, იაშვილს, ჯამარაულს, კობიაშვილს არაერთხელ შეეძლოთ მეკარე პჩელნიკოვის გამწარება. ვფიქრობთ, შვედ მსაჯს პენალტიც უნდა დაენიშნა კობიაშვილის წაქცევისათვის, ერთხელაც ჯამარაულის დარტყმა ხარიხამ შეაჩანჩარა. გოლი კი პირველი ტაიმის 37-ე წუთზე გავიდა: მოსკოველთა საჯარიმო მოედნის მარცხენა კუთხიდან 2-3 მეტრის მოშორებით თბილისელმა გოჩა ჯამარაულმა ძლიერად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ტორპედოელთა მეკარემ სველი ბურთი ხელებში ვერ დაიმორჩილა და იგი ბადეში აღმოჩნდა.

მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე:

ვალენტინ ივანოვი: „თამაში სანახობრივად ლამაზი იყო, დაძაბული, სწრაფი — სველი მინდვრის მიუხედავად. „დინამოსაგან" ასეთ ხისტ, ძალისმიერ ფეხბურთს არ ველოდი. მატჩის წინ მოთამაშეებს ვაფრთხილებდი, რომ ფრანგებმაც და ქართველებმაც ისწავლეს ატლეტური თამაში. არ დამიჯერეს. ფიქრობდნენ, „დინამო" ფიზიკურად ძლიერი გუნდი არ არისო. ამიტომ ნაღდ ბრძოლაში მხოლოდ მატჩის ბოლოსკა ჩაებნენ, როცა გვიანი იყო.

საპასუხო მატჩი თბილისში სხვანაირი იქნება. ტაქტიკაც შეიცვლება და შემადგენლობაც. უკმაყოფილო ვარ აგაშკოვის და სმერტინის თამაშით. მათ მაგივრად სჯობდა ახალგაზრდები დამეყენებინა...

„დინამოში" მრავალი ფეხბურთელია, რომელთა შეძენას ვისურვებდი."

დავით ყიფიანი: „მართალია მოვიგეთ, მაგრამ მეორე მატჩი ჯერ წინაა. ვფიქრობთ, „ტორპედოს" სტადიონზე მოსული მაყურებელი გავახარეთ ლამაზი ფეხბურთით. ასეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე გუნდის სტუმრად დამარცხება სახუმარო საქმე არ არის. ეს ბიჭების განწყობაზე კარგად იმოქმედებს.

მოსკოველთა გუნდიდან მომეწონა ავაკოვი, სხვებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩვენი გუნდიდან ჯამარაულს გამოვყოფდი. იგი „დინამოს" ჭეშმარიტი ლიდერია".

შეფას თასის 1/32 ფინალის პირველი მატჩები

10-11 სექტემბერი

„ტორპედო"	(მოსკოვი)	-	„დინამო"	(თბილისი)	0-1
„ბრონდბიუ"	(დანია)	-	„არაუ"	(შვეიცარია)	5-0
ცსკა	(მოსკოვი)	-	„ფეიენოორდი"	(ჰოლანდია)	0-1
„აპოელი"	(კვიპროსი)	-	„ესპანიოლი"	(ესპანეთი)	2-2
„გენგამი"	(საფრანგეთი)	-	„ინტერი"	(იტალია)	0-3
„ოდენსე"	(დანია)	-	„ბოავიშტა"	(პორტუგალია)	2-3
„ფერენცვაროში"	(უნგრეთი)	-	„ოლიმპიაკოსი"	(საბერძნეთი)	3-0
„ნიუკასლ იუნაიტედი"	(ინგლისი)	-	„ჰალმშტადი"	(შვედეთი)	4-0
„პანათინაიკოსი"	(საბერძნეთი)	-	„ლეგია"	(პოლონეთი)	4-2
„რაპიდი"	(რუმინეთი)	-	„კარლსრუე"	(გერმანია)	1-0
„სპარტაკი"	(მოსკოვი)	-	„სილკებორგი"	(დანია)	3-2
„პუტნიკი"	(პოლონეთი)	-	„მონაკო"	(საფრანგეთი)	0-1
„აბერდინი"	(შოტლანდია)	-	„ბერი თაუნი"	(უელსი)	3-1
„რომა"	(იტალია)	-	„დინამო"	(მოსკოვი)	3-0
„სელტიკი"	(შოტლანდია)	-	„ჰამბურგი"	(გერმანია)	0-2
„ტენერიფე"	(ესპანეთი)	-	„მაკაბი"	(ისრაელი)	3-2
„არსენალი"	(ინგლისი)	-	„ბორუსია"	(გლადბახი, გერმანია)	2-3
„ჩერნომორეცი"	(უკრაინა)	-	„ნაციონალი"	(რუმინეთი)	0-0
„ბიდო გლიმტი"	(ნორვეგია)	-	„ტრაბზონსპორი"	(თურქეთი)	1-2
„ბრიუგე"	(ბელგია)	-	„ლუნგბიუ"	(დანია)	1-1
„ასტონ ვილა"	(ინგლისი)	-	„ჰელსინგბორგი"	(შვედეთი)	1-1
„ლანსი"	(საფრანგეთი)	-	„ლაციო"	(იტალია)	0-1
„მალმიო"	(შვედეთი)	-	„სლავია"	(ჩეხეთი)	1-2
„ჟერმინალი"	(ბელგია)	-	„კაზინო"	(ავსტრია)	3-1
„მონპელიე"	(საფრანგეთი)	-	„სპორტინგი"	(პორტუგალია)	1-1
„ვალენსია"	(ესპანეთი)	-	„ბაიერნი"	(გერმანია)	3-0
„დინამო"	(კიევი)	-	„ქსამაქსი"	(შვეიცარია)	0-0
„მოლენბეკი"	(ბელგია)	-	„ბეშიქტაში"	(თურქეთი)	0-0
„პარმა "	(იტალია)	-	„ვიტორია"	(პორტუგალია)	2-1
„ალანია"	(რუსეთი)	-	„ანდერლეხტი"	(ბელგია)	2-1
„შალკე – 04"	(გერმანია)	-	„როდა"	(ჰოლანდია)	3-0
„ტიროლი"	(ავსტრია)	-	„მეცი"	(საფრანგეთი)	0-0

(განმეორებითი მატჩები – 24 სექტემბერს)

ბუნებრივია, გულშემატკივრებს აინტერესებს, როგორ ითამაშეს ამ მატჩებში ქართველმა ლეგიონერებმა.

ბოლო ერთ თვეში ჩვენი თანამემამულეები ნორვეგიის ხშირი სტუმრები გახდნენ. ჯერ იყო და „მოლდესთან" სათამაშოდ თბილისის „დინამო" ჩავიდა, შემდეგ ოსლოში – საქართველოს ეროვნული ნაკრები, ახლა კი „ბოდო გლიმტთან" – „ტრაბზონსპორი", რომლის შემადგენლდობაშიც აქტიურად ითამაშეს გიორგი ნემსაძემ და შოთა არველაძემ. ამ უკანასკნელმა უკვე მეორე წუთზე გაუტანა გოლი ნორვეგიელებს და საფუძველი ჩაუყარა თურქთა გამარჯვებას.

ასევე გამოიჩინა თავი მურთაზ შელიამაც, ვისი „ალანიაც" ბელგიის „ანდერლეხტს" მასპინძლობდა. სტუმრებმა მატჩის დასაწყისშივე, მესამე წუთზე მიაღწიეს წარმატებას. ამაში მათ ოსი პაგაევი დაეხმარა: მან საკუთარი კარი აიღო. მალე იანოვსკიმ ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმის დასაწყისში თედეევის მიერ ჩამოწოდებულ კუთხურს კარგად მეურჩია ადგილი შელიამ და ეფექტური თავური დარტყმით წინ გაიყვანა თავისიანები.

„A" ჯგუფი

„ოსერი" (საფრანგეთი) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 0-1
გოლი: ლიტმანენი (4წთ).
„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „რეინჯერსი" (შოტლანდია) 3-0
იაკინი (18), თურქილმაზი (28, 79)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გრასჰოპერსი"	1	1	0	0	3-0	3
„აიაქსი"	1	1	0	0	1-0	3
„ოსერი"	1	0	0	1	0-1	0
„რეინჯერსი"	1	0	0	1	0-3	0

„B" ჯგუფი

„ატლეტიკო" (მადრიდი) — „სტიაუა" (რუმინეთი) 4-0 ესნაიდერი (33,45), სიმეონე (64,85).
„ბორუსია" (დორტმუნდი), გერმ.) — „ვიძევი" (პოლონეთი) 2-1
ჰერლიხი (45,68), ციტკო (84)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ატლეტიკო"	1	1	0	0	4-0	3
„ბორუსია"	1	1	0	0	2-1	3
„ვიძევი"	1	0	0	1	1-2	0
„სტიაუა"	1	0	0	1	0-4	0

„C" ჯგუფი

„რაპიდი" (ავსტრია) — „ფენერბახჩე" (თურქეთი) 1-1
ბოლიჩი (30), შტუმფი (71)
„იუვენტუსი" (იტალია) — „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) 1-0
ბოკშიჩი (34)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ივენტუსი"	1	1	0	0	1-0	3
„ფენერბახჩე"	1	0	1	0	1-1	1
„რაპიდი"	1	0	1	0	1-1	1
„მანჩ. იუნ."	1	0	0	1	0-1	0

სურათზე: დელ პიერო

„D" ჯგუფი

„გიოტებორგი" (შვედეთი) — „რუსენბორგი" (ნორვეგია) 2-3
იაკობსენი (32), ერლინგმარკი (38, 49), ივერსენი (52), ბრადბაკი (69).
„მილანი" (იტალია) — „პორტუ" (პორტუგალია) 2-3
სიმონე (15), არტური (53), ვეა (69), ჟარდელი (76,82).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პორტუ"	1	1	0	0	3-2	3
„რუსენბორგი"	1	1	0	0	3-2	3
„მილანი"	1	0	0	1	2-3	0
„გიოტებორგი"	1	0	0	1	2-3	0

შემდეგი ტური – 25 სექტემბერს

თასების მფლობელთა თასი

(პირველი გვერდიდან)

მოელენები კი სხვაგვარად წარიმართა და ზემოთ რომ ვახსენეთ, უჯმაჯურიძეს ის მეორე გოლი რომ გაეტანა, ერთ-ერთ ბათუმელთა ცენტრალურ მცველს, გაუმართლებელი, უაზრო პენალტი არ „აეკიდა" და კიდევ ცოტა ფიზიკური ძალაც რომ ჰქონოდათ ჩვენს ნახევარმცველებს (მეორე ტაიმში მოედნის ცენტრი დათმეს), მოგებაზე ფიქრი შეიძლებოდა.

ქართველმა გულშემატკივრებმა უთუოდ ნახეს ტელევიზიით ეს შეხვედრა (იგი პირველად ჩატარდა ასე გვიან საღამოთი, ვინაიდან ჰოლანდიელებს სურდათ ეს მატჩი ეხილათ მათ სამშობლოში. ამიტომ „ეინდჰოვენის" სპონსორმა საქვეყნოდ ცნობილმა ფირმა „ფილიპსმა" ბათუმელებს 160 ათასი გერმანული მარკა გამოუყო პროჟექტორების შესაძენად). ამის გათვალისწინებით ვრცლად მატჩის მიმდინარეობაზე არ ვილაპარაკებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბათუმელთა მხრიდან გოლი ამირან მუჯირმა გაიტანა, რომელსაც ბრწყინვალე პასი მისცა მალხაზ მახარაძემ (ეს უკანასკნელი საიმედოდ ადუღაბებდა დაცვას).

მართალია, მატჩის შემდეგ საუკეთესო მოთამაშის პრიზი მუჯირს გადაეცა, მაგრამ ჩვენი სუბიექტური აზრით, მას მასპინძელთა მეკარე ნიკა ტოგონიძეც იმსახურებდა, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია (თამაშის შემდეგ მოვინახულეთ ჩვენი ძველი ნაცნობი, „ეინდჰოვენის" მენეჯერი ტონი სლოტი, რომელიც ასეთი სიტყვებით შეგვეგება: „ხომ გითხარით, დიდებული მეკარე გყავთ!". როგორც საქმეს ეტყობა, ჰოლანდიელებმა რამდენიმე ბათუმელ ფეხბურთელს თვალი დაადგეს და ახლო მომავალში შეიძლება „შეგვაწყონ".)

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დიკ ადვოკატმა განაცხადა, რომ თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილოა, ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთო. რაც შეეხება მსაჯობას, პრეტენზიები არა მაქვსო.

შოთა ჭეიშვილმა დამაკმაყოფილებელი უწოდა თავისი გუნდის გამოსვლას. ყველა ფეხბურთელმა შესაძლებლობათა ზღვარზე ითამაშა და სასაყვედურო მათდამი არაფერი მჭირსო. მაჭუტაძე იმიტომ გამოვცვალე, ფორმაში არ არის, ხოლო კანტიძე არ ვათამაშე, ვინაიდან სიცხე ჰქონდაო.

ჯემალ ჭიპაშვილი
ქ. ბათუმი
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი

სხვა მატჩები ასე დასრულდა:

აეკ	(საბერძნეთი)	—	„შემლონი"	(სლოვაკეთი)	1-0
„ლოკომოტივი"	(მოსკოვი)	—	„ვარტექსი"	(ხორვატია)	1-0
„ვადუცი"	(ლიხტენშტეინი)	—	პსჟ	(საფრანგეთი)	0-4
„მიუპა-47"	(ფინეთი)	—	„ლივერპული"	(ინგლისი)	0-1
„ნიმი"	(საფრანგეთი)	—	„კიშპეშტი"	(უნგრეთი)	3-1
„შტურმი"	(ავსტრია)	—	„სპარტა"	(ჩეხეთი)	2-2
„კონსტრუქტორული"	(მოლდოვა)	—	„გალათასარაი"	(თურქეთი)	0-1
„კაიზერსლაუტერნი"	(გერმანია)	—	„სტ. როსა"	(იუგოსლავია)	1-0
„სიონი"	(შვეიცარია)	—	„ნივა"	(უკრაინა)	2-0
„ორჰუსი"	(დანია)	—	„ოლიმპია"	(სლოვენია)	1-1
„სერკლი"	(ბელგია)	—	„ბრანი"	(ნორვეგია)	3-2
„გლორია"	(რუმინეთი)	—	„ფიორენტინა"	(იტალია)	1-1
„რეიკიავიკი"	(ისლანდია)	—	აიკ	(შვედეთი)	0-1

განმეორებითი მატჩები – 26 სექტემბერს.

ქართული ფეხბურთის სამჭედლო — ქუთაისის „ტორპედო"

(მოგონებები და სუბიექტური შენიშვნები)

დასასრული • დასაწყისი იხ. № 52, 54, 55

1964 წლის 18 ნოემბერი ბედნიერი თარიღია ქართული ფეხბურთის ისტორიაში (თბილისის „დინამო" გახდა ჩემპიონი!). და იგი ყველას კარგად გვახსოვს. მაგრამ ახლა ცოტას თუ ვინმეს აგონდება, რომ 4 დღის შემდეგ, 22 ნოემბერს იქვე – ტაშკენტში გაიმართა ასევე ძალიან პრინციპული მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა" და გორკის „ვოლგას" შორის, რომელიც ჩვენების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა – 4-2.

მე-6 წუთზე ხაჟალიამ პირველი ბურთი გაიტანა, რომელიც 11- მეტრიანი დარტყმით მეორე ტაიმის დასაწყისში გაქვითა გორკელმა მიხაილოვმა. ამას მოჰყვა ხაჟალიას, ჩხარტიშვილისა და კვლავ ჩხარტიშვილის გოლები. ბოლო წუთებზე იმავე მიხაილოვმა შეამცირა სხვაობა ანგარიშში.

ამ გამარჯვებამ ქუთაისელებს შეუნარჩუნათ ადგილი უმაღლეს ლიგაში, სადაც ისინი კიდევ 6 სეზონის მანძილზე გამოდიოდნენ.

მომყავს ქუთაისელთა გუნდის შემადგენლობა ამ თამაშში: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, სიამაშვილი, სარჯველაძე კუტივაძე, წვერავა ხერხაძე, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, დუნდუა. (გ. დუნდუამ იმ წელს მიიღო საუკეთესო დებიუტანტისათვის დაწესებული საკავშირო პრიზი).

აი, ასეთი ბედნიერი დასასრული ჰქონდა ქართული ფეხბურთისათვის ამ უაღრესად მღელვარე, დრამატიზმით აღსავსე სეზონს.

როგორც ითქვა, ეს წლები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩაგვებეჭდა მეხსიერებაში ძველი თაობის გულშემატკივრებს და ამდენად, ჩვენი ბიოგრაფიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა მომდევნო წლების შესახებ.

მაშ, ასე. 1964 წ. ქუთაისის „ტორპედომ" შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში და 1970 წლის ჩათვლით კვლავინდებურად გამოდიოდა „ა" კლასში. ამ წლებშიც მან კიდევ მთელი რიგი ნათელი ფურცელი ჩაწერა გუნდის ისტორიაში და გაახარა მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი.[1]

სამწუხაროდ, 1970 წლის გათამაშებაში გუნდმა ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა, მთელი 11 წლით გადასახლდა –„ბ" კლასში და მხოლოდ 1982 წელს დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, თუმცა უკვე 1972 და განსაკუთრებით 1975 წლებში ამის რეალური შანსები ჰქონდა.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ 70-იანი წლები, როდესაც გუნდი მეორე ლიგაში გამოდიოდა, დაკარგული იყო მისთვის და, საერთოდ, ქართული ფეხბურთისათვის, რადგან სწორედ ამ წლებში ქუთაისში აღიზარდნენ ის შესანიშნავი ფეხბურთელები, რომლებიც ათი და მეტი წლის მანძილზე ამშვენებდნენ ქართულ, საბჭოთა და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ფეხბურთს.

არ გაინტერესებთ „ტორპედოს" 1975 წლის შემადგენლობა? – გაბელია, ქეირია, სულაქველიძე, ფარულავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, შელია, კოსტავა, ჩახუნაშვილი, ბურკაძე, გაბიჩვაძე, ხურხაძე, შენგელია, ფესტვენიძე და სხვ.

დიახ, 4 მომავალი სსრკ ჩემპიონი და ევროპული თასის მფლობელი ამ წლებში ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდა: ოთარ გაბელია, თენგიზ სულქველიძე, თამაზ კოსტავა და რამაზ შენგელია!

სწორედ ამ დროს შეარქვეს ქუთაისის „ტორპედოს" „ქართული ფეხბურთის სამჭედლო", რაც მან ნამდვილად დაიმსახურა.

და აქ არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ქუთაისური ფეხბურთის ერთ-ერთი თავკაცი მრავალი წლის მანძილზე, შესანიშნავი პედაგოგი და მწვრთნელი კარლო ხურციძე (1922-1994).

საკმარისია დავასახელოთ მის მიერ აღზრდილი სპორტსმენები, რომ დარწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდია ამ ადამიანის დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე.

უბერებელი მერაბ მეგრელაძე (თეთრ მაისურში)

ერთხელ, თურმე, ბატონ კარლოს სთხოვეს შეედგინა „გუნდი" მის მიერ სხვადასხვა დროს აღზრდილ ფეხბურთელთაგან. პასუხი ასეთი იყო: მეკარე მიხეილ კვერნაძე, მცველები რევაზ ძოძუაშვილი, სერგეი შვეცოვი („ტორპედოს" გარდა, წარმატებით თამაშობდა რუსეთის წამყვან გუნდებში), თენგიზ სულაქველიძე, თამაზ კოსტავა, ნახევარმცველები სერგო კუტივაძე და ზაურ სვანაძე, თავდამსხმელები გივი და ლევან ნოდიები, რამაზ შენგელია. რით არ არის საქართველოს ნაკრები?!

დიახ, კ. ხურციძესთან მიიღეს „პირველდაწყებითი განათლება" ამ და კიდევ ბევრმა სხვა ქართველმა ფეხბურთელმა და აბა, წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, ისინი რომ ბოლომდე დარჩენილიყვნენ ქუთაისის „ტორპედოში", რა გუნდი იქნებოდა?

არ ვიცი, სჭირდებათ კი რაიმე წარდგინება ისეთ გამოჩენილ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან რ. ძოძუაშვილი, თ. კოსტავა, თ. სულაქველიძე, გ. ნოდია, რ. შენგელია? საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრების სახელები ხომ ყველას პირზე გვეკერა ამ 15-20 წლის წინ. მივუთითებ მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოში" მათი გამოსვლის წლებს:

რ. ძოძუაშვილი 1961, 1964, 1966-1967 წლები, თ. კოსტავა – 1973-1976; თ. სულაქველიძე – 1974-1978, გ. ნოდია – 1965-1966, რ. შენგელია 1973-1976. რა მჭევრმეტყველი ციფრებია!

ამ და სხვა შესანიშნავ ფეხბურთელების გარდა, რომლებიც ჩვენს ნარკვევში არიან ნახსენები, აუცილებელია დავასახელოთ. ქუთაისის „ტორპედოს" სხვადასხვა თაობის მწვრთნელები: ადრე – ბრწყინვალე ფეხბურთელი – გ. კილაძე, ს. ერქომაიშვილი, მოთამაშეები: ზ.ებრალიძე, შ. ოქროპირაშვილი, მ. მეგრელაძე, დ. დარჯანია, რომლებსაც დიდ საერთო წვლილთან ერთად სხვადასხვა სახის რეკორდები ეკუთვნით გუნდის საფეხბურთო სტატისტიკის ცხრილში.

ცენტრალური მცველი ზორბეგ ებრალიძე 1965 წლიდან 6 სეზონის მანძილზე თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში", იყო დაცვის მთავარი ბურჯი, შემდეგ კი – 1971 წლიდან – ამდენივე ხანს გამოდიოდა თბილისის „დინამოში". მას ეკუთვნის ქართული ფეხბურთის ერთი უნიკალური რეკორდი: სხვადასხვა დროს იგი იყო ორივე ამ გუნდის კაპიტანი! „დინამოში" მას კაპიტნის სამკლაური სახელოვანმა მურთაზ ხურცილავამ გადასცა 1975 წელს.

როგორ არ ვახსენოთ აქ გუნდის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული ვეტერანი შოთა ოქროპირაშვილი (მცველი), რომელსაც თამაში ძირითადად მოუწია იმ პერიოდში, როდესაც „ტორპედო" პირველ ლიგაში გამოდიოდა.[2] აქ მან 371 მატჩი ჩაატარა.

პირველი ლიგის სხვა რეკორდები ეკუთვნით ჯ. ხერხაძეს (50 ბურთი), დ. დარჯანიას (19 ბურთი ერთ სეზონში – 1981). და ბოლოს, როგორ არ მოვიგონოთ ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი უნიკალური „რეკორდი? – იგი ეკუთვნის მერაბ მეგრელაძეს, რომელიც დღესაც, 40 წლის ასაკში (!) თავის შვილთან ერთად თამაშობს ქუთაისის „ტორპედოში" საქართველოს ჩემპიონატში! უმაღლეს ლიგაში გამოსვლების დროს კი მან დაამყარა „ტორპედოს" კიდევ ერთი რეკორდი – 18 ბურთი ერთ სეზონში (1982).

აქ და ქვემოთ ნახსენებ ფეხბურთელთა სია უნდა შევავსოთ ისეთი დამსახურებული მოთამაშეებით, როგორებიც არიან ტ. გელაძე, დ. ევკუა, მ. ასიტაშვილი, ა. წვერავა, მ. წიწვაძე, რ. კვასხვაძე, ა. ერქომაიშვილი, ბ. ფარულავა, გ. გომელაური, რ. სორდია, ა. ზარანდია, ზ. მაჭარაშვილი და სხვ.

გარდა ამისა, უსამართლობა იქნებოდა არ გვეხსენებინა ის ფეხბურთელები, რომლებიც, მართალია, წარმოშობით არ არიან ქუთაისლები, მაგრამ აქ მიიღეს სპორტული წრთობა, ჩამოყალიბდნენ როგორც პიროვნებები და თავისი ნიჭისა და ოსტატობის გაფურჩქვნას უკვე რესპუბლიკის პირველ გუნდში – თბილისის „დინამოში" მიაღწიეს.

ასეთები არიან იპო სარჯველაძე (ქუთაისში თამაშობდა 1946 წლამდე), გივი ხოჭოლავა (1955-მდე), დავით გოგია (1972-მდე), ოთარ გაბელია (თამაშობდა 1974-1976 წლებში), გელა ქეტაშვილი (1982-1983), გურამ [illegible] (1981-1982), რომელმაც თავისი საუკეთესო მატჩები – ფეხბურთის „ვარსკვლავის" დონეზე – სწორედ ქუთაისში ჩაატარა 1982 წელს.

ცხადია, რომ ამ ნარკვევში არ გვაქვს საშუალება დაწვრილებით გავადევნოთ თვალი გუნდის გამოსვლებს მომდევნო ათეულ წლებში.

ეს არც შეადგენს ჩვენს ამოცანას.

მოვიყვან მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოს" 1982 წლის შემადგენლობას (საგანაცხადო სიას): მეკარეები – ა. ქანთარია, მ. კვერნაძე, ი. მამინაშვილი; მცველები – ქ. გვაძაბია, დ. გოგოლაძე, ტ. აგრბა, გ. ქორიძე, ვ. კურტანიძე, გოჩა მაჩაიძე (!), ლ. მელიქია, ზ. ნემსაძე, ი. რუხაძე, გ. უკლება, თ. ცნობილაძე, ვ. შელია, გიორგი ჭილაია (!), ნახევარმცველები: ა. ბარაბაძე, რ. ბურკაძე, გ. გაბიჩვაძე, მ. ჟორდანია, დ. ქვირია, ო. კორღალიძე, მანუჩარ მაჩაიძე (!), შ. მხატვარი, გ. ფანჩულიძე, რ. შაქიროვი; თავდამსხმელები – ლ. აგარონოვი, დ. დარჯანია, ა. კვერნაძე, მ. მეგრელაძე, დ. თვალაბეიშვილი, გ. ჩიმაკაძე, გ. ჩქარეული.

ჩემს წერილს ვამთავრებ რამდენიმე სტატისტიკური მონაცემის აღნუსხვით.

მაშ, ასე. ქუთაისის „ტორპედომ" საბჭოთა კავშირის ფეხბურთის უმაღლესი ლიგის („ა" კლასის) გათამაშებაში 13-ჯერ მიიღო მონაწილეობა: ზედიზედ 9-ჯერ – 1962-1970 წლებში, და შემდეგ 1982-1983 და 1985-1986 წლებში.

გარდა ამისა, „ტორპედომ" მონაწილეობა მიიღო პირველი ლიგის 14 გათამაშებაში – 1971-1981, 1984, 1987 და 1989 წლებში.

უმაღლეს ლიგაში გუნდმა სულ ჩაატარა 439 თამაში (+104-129-206; ბურთები 395:649).

ცალკეულ გუნდებთან შეხვედრების სტატისტიკიდან გამოვყოფ ფრიად საპატიო შედეგებს ისეთ უძლიერეს გუნდებთან, როგორებიცაა მოსკოვის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო".

პირველ მათგანთან ქუთაისელებს აქვთ 8 მოგება (!), 5 ფრე და 13 წაგება, ხოლო მოსკოველ თანაკლუბელებთან – კიდევ უკეთესი შედეგი: 9 მოგება, 8 ფრე, 9 დამარცხება.

თბილისის „დინამოსთან" ქუთაისელებს აქვთ 4 მოგება, 9 ფრე და 13 წაგება.

ახლა მოგვყავს ცხრილი იმ ადგილებისა, რომლებზედაც გამოდიოდა გუნდი უმაღლეს ლიგაში თავისი გამოსვლების დროს: 1962 – მე-15 ადგილი, 1963 – მე-12, 1964 – მე-13. 1965 – მე-16, 1966 – მე- 15; 1967 – მე-13; 1968 – მე-19, 1970 – მე-16, 1982 – მე-13, 1983 – მე-17; 1985 – მე-11, 1986 – მე-16.

ამათგან ყველაზე უკეთესია 1985 წელს ნაჩვენები შედეგი – მე-II, როდესაც „ტორპედომ" გაასწრო ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორებიცაა დონეცკის „შახტიორი" ერევნის „არარატი", მოსკოვის „დინამო", ოდესის „ჩერნომორეცი" და ბაქოს „ნეფტჩი". გუნდმა მოიგო 11 შეხვედრა, 9 დაამთავრა ფრედ და 14-ჯერ დამარცხდა.

გულშემატკივრებს ნამდვილად ემახსოვრებათ ქუთაისელთა ეფექტური გამარჯვებები ჩემპიონატის ფინიშზე, ნოემბერში, როდესაც მათ ზედიზედ დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო" მოსკოვში (!) – (2-0) ბურთები გაიტანეს კორღალიძემ და მეგრელაძემ), ხოლო ქუთაისში – იმ წლის ბრინჯაოს მედლის მფლობელი – დნეპროპეტროვსკის „დნეპრი".4-3 (კვერნაძის და ჭილაიას 2-2 გოლი), ხარკოვის „მეტალისტი" – 4-1 (მეგრელაძე, კორღალიძე, ვასაძე, კვერნაძე) და იმ წლების აბსოლუტური ლიდერი და ჩემპიონი – განთქმული კიევის „დინამო" – 2-1 (იაგო ჟორჟიკაშვილის გოლები).

საკავშირო ასპარეზზე ქუთაისის „ტორპედო" უკანასკნელად გამოვიდა 1988-1989 წლებში. 1988 წ. მან გაიმარჯვა მეორე ლიგის გათამაშებაში და მოიპოვა უფლება 1989 წ. პირველ ლიგაში გამოსვლისა. აქ კი მან მე-13 ადგილი დაიკავა 22 გუნდს შორის (მეორე დაიკავა ლანჩხუთის „გურიამ"!).

ამჟამად, ქუთაისის „ტორპედო" საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებით გამოდის საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შესანიშნავი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქი კვლავ წამოსწევს ახალ ძლიერ გუნდს და გაახარებს თავის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს.

ასე რომ, წინ „ტორპედო", წინ – ახალი გამარჯვებებისაკენ!

მადლიერებით მივიღებთ ყველა კრიტიკულ შენიშვნას თუ მოსაზრებას, რომელთა გამოთქმას მოისურვებს ჩვენი მკითხველი.

გულბათ ტორაძე

პროფესორი

---

[1] მაგონდება ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა. 1965 წლის პირველობის ფინიშზე ქუთაისელებმა დაამარცხეს 1-0 ლიდერი კიევის „დინამო", რის წყალობითაც სსრკ ჩემპიონი გახდა მოსკოვის „ტორპედო". მახსოვს ვიღაცის ხუმრობა — „უკვე ორი წელია საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის ბედი ქუთაისში წყდება!".

[2] ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები 1984 წლის მდგომარეობითაა დაფიქსირებული.

მეორე ჯგუფი

გაიმართა IV ტურის მატჩები

აღმოსავლეთი ზონა

„შირაქი" – „ცხინვალი" 2-0, „მრეტები" – „იბერია" 3-2,
„ჟინერი" – „სამგორი" 1-3, „მესხეთი" – „ შევარდენი-2" 1-3,
„დინამო-2" – „მორკინალი" 2-0, „ლოკომოტივი" – „ჰერეთი" 3-0,
„ავაზა" – ასკ 0-1, 35-სტუ – „შსს. აკადემია" 0-1, „დურუჯი" – „არმაზი" 1-2.

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი"	(თბილისი)	4	4	0	0	11-1	12
„არმაზი"	(მცხეთა)	4	4	0	0	12-4	12
„შსს აკადემია"	(თბილისი)	4	3	0	1	11-3	9
ასკ	(თბილისი)	4	3	0	1	13-7	9
„მორკინალი"	(თბილისი)	4	2	1	1	9-3	7
„სამგორი"	(გარდაბანი)	4	2	1	1	9-6	7
„დინამო-2"	(თბილისი)	4	2	1	1	8-5	7
„კოდაკო"	(თბილისი)	2	2	0	0	4-2	6
„შირაქი"	(დედოფლისწყარო)	3	2	0	1	5-4	6
„მრეტები"	(თბილისი)	3	1	2	0	5-4	5
„იბერია"	(ქარელი)	4	1	1	2	5-6	4
„შევარდენი-2"	(თბილისი)	4	1	1	2	5-6	4
„ჟინერი"	(ჟინვალი)	3	1	0	2	5-7	3
„ცხინვალი"		4	1	0	3	5-8	3
„თორი"	(ბორჯომი)	3	1	0	2	3-8	3
„მესხეთი"	(ახალციხე)	3	1	0	2	5-12	3
„35-სტუ"	(თბილისი)	4	0	2	2	3-7	2
„ჰერეთი"	(ლაგოდეხი)	3	0	1	2	3-7	1
„ავაზა"	(თბილისი)	4	0	0	4	4-12	0
„დურუჯი"	(ყვარელი)	4	0	0	4	3-16	0

დასავლეთი ზონა

„მალაროელი" – „კახაბერი" 6-0, „ეგრისი" – „სულორი" 1-0, „ტორპედო-2" – „მეშახტე" 0-1, „ჩხერიმელა" – იმერეთი 2-3,
„საპოვნელა" – „ოდიში-2"" 1-0, „სამეგრელო" – „კოლხეთი-2" 1-0, „ოლიმპია" – „სქური" 3-0 „სალხინო" – „მამისონი" 4-2, „ბათუმი-2" – „მერცხალი" 1-4.

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მალაროელი"	(ჭიათურა)	4	4	0	0	20-3	12
„მეშახტე"	(ტყიბული)	4	4	0	0	15-1	12
„მერცხალი"	(ოზურგეთი)	4	3	1	0	11-3	10
„ოლიმპია"	(ხობი)	4	3	0	1	9-6	9
„იმერეთი"	(ხონი)	4	2	2	0	8-4	8
„სალხინო"	(მარტვილი)	4	2	1	1	13-9	7
„კოლხეთი-2"	(ფოთი)	4	2	0	2	9-4	6
„სულორი"	(ვანი)	4	1	2	1	2-2	5
„მამისონი"	(ონი)	4	1	1	2	8-8	4
„ჩხერიმელა"	(ხარაგაული)	4	1	1	2	5-9	4
„სქური"	(წალენჯიხა)	4	1	1	2	3-8	4
„სამეგრელო"	(ჩხოროწყუ)	4	1	1	2	3-8	4
„საპოვნელა"	(თერჯოლა)	4	1	1	2	4-10	4
„კახაბერი"	(ხელვაჩაური)	4	1	1	2	3-14	4
„ეგრისი"	(სენაკი)	4	1	0	3	3-9	3
„ტორპედო-2"	(ქუთაისი)	4	0	2	2	4-8	2
„ოდიში-2"	(ზუგდიდი)	4	0	1	3	1-7	1
„ბათუმი-2"		4	0	1	3	1-9	1

SOS

ციკოლიამ „ჩხერიმელა"... ჩაყლაპა

ჩხერიმელა მდინარეა, რომელიც ხარაგაულს ჩაუდის

როგორც შევიტყვეთ, აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა ხარაგაულში, სადაც ადგილობრივი „ჩხერიმელა" მასპინძლობდა ხონის „იმერეთს". ხარაგაულელმა ფეხბურთელებმა მარცხი განიცადეს, 2-3. ამით განაწყენებულმა მოთამაშე ციკოლიამ მატჩის გვერდით მსაჯს ჩიგოგიძეს მუშტები დაუშინა.

ციკოლია რომ თავისი ქმედებისათვის, როგორც მინიმუმ, ერთწლიან დისკვალიფიკაციას მიიღებს, ეს ფაქტია. მაგრამ მოდით ჩავიხედოთ სფფ-ის დებულებაში, სადაც წერია: „თამაშის მსაჯის ან დელეგატის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დამნაშავე გუნდს დაეკისრება ფულადი ჯარიმა და ჩამოეწერება 5 ქულა... თუ გუნდს არა აქვს დაგროვილი იმდენი ქულა, რამდენითაც დაჯარიმებულია, ქულების ჩამოწერა მოხდება ჩემპიონატის მსვლელობის დროს".

ახლა, გადავხედოთ სატურნირო ცხრილს. „ჩხერიმელას" მონაგარი: 4 ტურის შემდეგ — 4 ქულა. მაშასადამე, არსებული დებულებით ხარაგაულელთა გუნდს ფულადი ჯარიმის გარდა ეს 4 რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული ქულა ხომ ჩამოეწერება, მომავალში კიდევ ერთ ქულას „შეაწერენ". ასე ჩაყლაპა ციკოლიამ გუნდი.

ასე რომ, მუშტი-კრივის მოყვარულებო, დაფიქრდით!

და ბოლოს, ხარაგაულში მომხდარის შესახებ რომ შევიტყვეთ, არ გაგვკვირვებია, ვინაიდან, ასე თუ ისე, ახლოს ვიცნობთ იმერეთის ამ კუთხეში ფეხბურთთან დაკავშირებულ ამბებს. უდისციპლინობის თავი და თავი, ვფიქრობთ, უნდა ვეძიოთ იმაში, თუ რამდენად პროფესიონალები მუშაობენ ფეხბურთელებთან. წლების მანძილზე ხარაგაულის გუნდს, შეიძლება ითქვას, შემთხვევითი ადამიანები არიან მიტმასნილნი. არც რაიონის ხელმძღვანელობაა მაინცდამაინც დაინტერესებული გაერკვიოს სიტუაციაში. ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

რა ხდება ქვეყანაზე

● **„ფერარის“** ავტოჯგუფის წარმომადგენელმა ოფიციალურად უარყო ვერსია, თითქოს „უილიამს-რენოდან“ გაძევებული „ფორმულა-1-ის“ წლევანდელი ლიდერი დემონ ჰილი მათთან აპირებდეს გადასვლას. „ეს საკითხი „ფერარის“ არც განუხილავს და, ბუნებრივია, ჰილისთვის არაფერი შეუთავაზებია“.

● **ადრე** გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ პროფესიული ჰოკეის სუპერვარსკვლავი, „პიტსბურგის“ ლიდერი, 31 წლის მარიო ლემიე სპორტიდან აპირებდა წასვლას. ამ დღეებში კი გახდა ცნობილი, რომ იგი კიდევ ერთი წლის მანძილზე ითამაშებს თავის კლუბში.

21 სექტემბერს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში 60, 70, 80, 90, 100, 110, +110 კგ-სა და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში. აგრეთვე მემარცხენეებისთვის, ქალთათვის და სენიორებისათვის (40 წ. ზევით) დაწესებულია ფულადი პრიზები და საჩუქრები.

შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. შესატანი 5 ლარი. აწონვა 10 საათიდან. შეჯიბრების დასაწყისი 16 საათზე.

ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა ქართველი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

რაიონებს და ქალაქებს შეუძლიათ გუნდების გამოყვანა.

უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

● *ჩოგბურთი.* აშშ-ს წლევანდელი ღია ჩემპიონატი „დიდი სლემის“ ერთადერთი ტურნირია, რომელიც ყოველგვარი სენსაციის გარეშე დასრულდა. წინა ნომერში შემოგთავაზეთ ფინალისტთა შედეგები ერთეულთა თანრიგებში. ახლა მხოლოდ შევახსენებთ, რომ ვაჟებში პიტ სამპრასმა (აშშ) გაიმარჯვა, ქალებში — შტეფი გრაფმა (გერმანია). სხვა თანრიგებში კი ფინალური ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: *ვაჟთა წყვილები:* ტოდ ვუდბრიჯი, მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — იაკო ელტინგი, პოლ ხაარხუსი (ჰოლანდია) 4:6, 7:6, 7:6; *ქალთა წყვილები:* ჯიჯი ფერნანდესი, ნატალია ზვერევა (აშშ, ბელარუსი) — იანა ნოვოტნა, არანტა სანჩესი (ჩეხეთი, ესპანეთი) 1:6, 6:1, 6:4.

ველოსპორტის ტრასებზე

ბრიუსელის მახლობლად, მანდელ-ესკოს გზატკეცილზე გაიმართა ერთდღიანი რბოლა, რომელიც მოიგო ბელგიელმა ველოსიპედისტმა, მსოფლიოს თასის გათამაშების ლიდერმა იოჰან მიუზეუვმა. 174 კილომეტრი მან 3:58. 00-ში დაფარა.

საკმაოდ მძაფრი ბრძოლით აღინიშნა წლეულს ოთხმოცდამეათედ ჩატარებული „ბერლინის ტური“, რომლის დისტანცია 217 კილომეტრს შეადგენდა. ასპარეზობა გერმანელმა ფრანკ აუგუსტინმა მოიგო — 4:58.48. გამარჯვებულს სულ რაღაც 0,33 წამით ჩამორჩნენ მისივე თანამემამულეები ფრანკ ვანდენბრუკე და ვილფრიდ პეტერსი.

„აიას“ უსაშველობა სჭირს

რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ექვსი საუკეთესო გუნდი აგრძელებს ბრძოლას უძლიერესთა კვარტეტში მოსახვედრად, რომელიც ბოლოს საპრიზო ადგილებს გაითამაშებს.

ახალი ორწრიანი ეტაპი წარუმატებლად დაიწყო ჩემპიონმა „აია-პეიმ“. 11 სექტემბერს ქუთაისელები საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ თბილისის „ქორებთან“ 3:23 და უკიდურესობამდე გაირთულეს სატურნირო მდგომარეობა. ახლა „აია“ უიმედოდ ჩამორჩება ლიდერებს „გუმარს“ და „ყოჩებს“, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ „ქორებთან“ შედარებით ხუთი ქულით ნაკლები აქვს. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ქუთაისელები წლეულს ჩემპიონობას გამოემშვიდობებიან. ეს კი არა, სულ ადვილი შესაძლებელია „აია“ პრიზიორთა შორისაც ვერ ვიხილოთ. ასეა, „აია“, რომელიც ერთ დროს უზომო სიხარულს გვანიჭებდა და ქართული სპორტის ნამდვილი სიამაყე იყო, დღეს აღარავის აინტერესებს. გუნდი დაშლის პირასაა მისული.

იუზა კაციტაძე

ძნელია დაბლა დაშვება

ცნობილმა ჩინელმა წყალში მხტომელმა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ქალთა შორის ფუმინშამ „ჩაინა იუს დეილის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ იგი „დაბერდა“ და აღარ შესწევს ძალა განაგრძოს სპორტული მოღვაწეობა. არადა, ფუმინშა ჯერ მხოლოდ 19 წლისაა.

ატლანტაში მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ამასთან დაკავშირებით სპორტსმენმა განაცხადა: „ვგრძნობ, რომ ამჟამად მთის წვერზე ვიმყოფები, მაგრამ რაც უფრო მაღლა ადიხარ, მით უფრო ძნელი ხდება დაბლა დაშვება. არ მინდა მწვერვალიდან გადმოვარდე“.

ქურდობაზე დააკავეს

მძიმე წონის მოკრივე, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, 41 წლის ჯონ ტეიტი დააკავეს მაშინ, როცა ნიუიორკის ერთ-ერთი სუპერმარკეტიდან სამშენებლო მასალებს იპარავდა.

ვბა-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 1980 წელს. მაშინ, 15 რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა ჯერი კოტზი. ხუთი თვის შემდეგ კი მაიკ ვეივერთან ორთაბრძოლაში დათმო ტიტული. ტეიტი ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. ბოლოს იგი დაიჭირეს 1993 წელს, როცა ბანდიტური თავდასხმის შედეგად ერთ კაცს ყბა ჩამოუღო.

ჯილდოდ მილიონი დოლარი

ლაგუნა სეკაში (აშშ) გაიმართა ინდიკარის ამერიკული სერიის ბოლო, მეთექვსმეტე ეტაპი, რომელიც მოიგო „ფორმულის“ ყოფილმა პილოტმა, იტალიელმა ალესანდრო ზანარდიმ („რეინჰარდ-ჰონდა“). თექვსმეტი ეტაპის ჯამში ინდიკარის ჩემპიონი გახდა ზანარდის ამერიკელი თანაგუნდელი ჯიმი ვასერი – 154 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა მაიკლ ანდრეტი (აშშ, „ლოლა-ფორდი“) – 132, მესამეზე – ალესანდრო ზანარდი – 132.

გუნდური გამარჯვება „რეინჰარდ-ჰონდას“ ავტომობილისტებს დარჩათ (პატრონი – ჩიპ გენესი). ზანარდის, რომელმაც წლეულს პირველად სცადა ძალები ინდიკარის სერიაში, „წლის საუკეთესო ახალბედას“ ტიტული მიანიჭეს. სერიაში გამარჯვებულმა ჯიმ ვასერმა საერთო აღიარებასთან ერთად პრიზის სახით 1 მილიონი დოლარი დაიმსახურა. „ჰონდამ“ მიიღო პრიზი საუკეთესო ძრავისთვის, რეინჰარდმა კი შასის დამზადებისთვის.

საჭადრაკო ამოცანა

ბ. გიოზელი

(1927 წ.)



შამათი 2 სვლაში

ქართული ბიბლიოთეკა

1996 წლის 8 სექტემბერს გაიმართა „სპორტლოტო 5-36 დან“ მე-II ტირაჟი.

მოგებული ციფრები:

29. 30. 22. 26. 4.

5 და 4 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 3 ციფრის ამოცნობისათვის (70 ვარიანტი) — 6 ლარია. ხუთ ციფრზე მოსაგები თანხა 181-20 ლარის ოდენობით გადადის მე-12 ტირაჟში. სულ „ჯეკპოტი“ ამ ტირაჟისათვის შეადგენს 1257-70 ლარს.

მოგებების განაღდება იწარმოებს 1996 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.

შეგახსენებთ, რომ „სპორტლოტო 5-36-დან“ ყოველი ტირაჟის ჩატარებისას თამაშდება

„ბლიც-ლოტო“

მასში მონაწილეობენ ყოველ განვლილ ტირაჟში 5 ან 4 ამომცნობი მოთამაშეები, აგრეთვე ის მოყვარულები, რომლებიც ყველაზე მეტ ლატარიის ბილეთს შეიძენენ.

სპეციალური ჟიური ლატარიის გამავრცელებლების წარდგინებით გამოავლენს „ბლიც-ლოტოს“ მონაწილეებს (ტელ. 38-90-74).

ტრადიციულად, ყოველ ხუთ ტირაჟში ერთხელ „ბლიც-ლოტოს“ ყველა მონაწილეს შორის გათამაშდება „სუპერ-პრიზი“. მე-11 ტირაჟში გათამაშდა პირველი პრიზი — ამერიკული ფირმის „რიბოკის“ მიერ საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრებისათვის დამზადებული სპორტული ფორმის და ინვენტარის სრული კომპლექტი. მე-12 ტირაჟიდან მე-16 ტირაჟის ჩათვლით გამარჯვებულს გადაეცემა ახალი „სუპერ-პრიზი“ — „ფილიპსის“ მარკის ფერადი ტელევიზორი.

„ბლიც-ლოტოს“ მონაწილეთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

5 ციფრის ამოცნობისათვის — 1000 ლარი.
4. ციფრისათვის — ფერადი სტერეო ტელევიზორი „გოლდსტარი“
3 ციფრისათვის — ვიდეომაგნიტოფონი „ჯივისი“
2 ციფრისათვის — მაისური ოლიმპიური სიმბოლიკით.
1 ციფრისათვის — „სპორტლოტოს 5-36 დან“ ბილეთების კომპლექტი.

საქართველოს სპორტის ეროვნულმა ფონდმა მრავალრიცხოვან მოთამაშეთა სურვილის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება „სპორტლოტო 5-36-დან“ ტირაჟები ჩატარდეს ყოველ კვირა დღეს.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ 1996 წლის ბოლომდე ტირაჟების ჩატარების ახალ განრიგს:

მე-12 ტირაჟი — 22 სექტემბერი
მე-13 ტირაჟი — 29 სექტემბერი
მე-14 ტირაჟი — 6 ოქტომბერი
მე-15 ტირაჟი — 13 ოქტომბერი
მე-16 ტირაჟი — 20 ოქტომბერი
მე-17 ტირაჟი — 27 ოქტომბერი
მე-18 ტირაჟი — 3 ნოემბერი
მე-19 ტირაჟი — 10 ნოემბერი
მე-20 ტირაჟი — 17 ნოემბერი
21-ე ტირაჟი — 24 ნოემბერი
22-ე ტირაჟი — 1 დეკემბერი
23-ე ტირაჟი — 8 დეკემბერი
24-ე ტირაჟი — 15 დეკემბერი
25-ე ტირაჟი — 22 დეკემბერი
26-ე ტირაჟი — 29 დეკემბერი

შეგახსენებთ, რომ მორიგი მე-12 ტირაჟი გაიმართება 22 სექტემბერს.

გისურვებთ წარმატებას!
საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

შერეული კროსვორდი



თარაზულად: 5. თავყრილობა, 6. ნივთებისა და ფულის გათამაშება, 8. საბინაო მოწყობილობა ნაგებობით, 10. ძვირფასი, გამჭვირვალე მინა, 11. მდინარე დასავლეთ საქართველოში, 14. ყოფილი ქ. ფრუნზეს საფეხბურთო გუნდი. 16. რენესანსის პერიოდის გამოჩენილი მხატვარი, 17. ხმა, რომელიც ეწყობა სიმღერას, 18. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია — შემოკლებით, 19. უდედმამო, 22. ხმელი ხილი, 23. დიდი სოფელი რაჭაში, 25. ერთი ულუფა კერძი, 28. მატჩის ერთი ნახევარი, 29. პირველი მამაკაცი დედამიწაზე, 30. გაიძვერული ხერხი, 32. წელიწადის თვე, 33. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ჯგუფი.

შვეულად: 1. „გვადი ბიგვას“ პერსონაჟის სახელი, 2. წარწერა ნაგებობაზე, 3. პურის გასალეწი ადგილი, 4. ქართველი მეფე, 5. ამერიკული ავტომობილის მარკა, 7. ვეტერანი ფეხბურთელი — სსრ კავშირის ნაკრების წევრი, 9. ქართული გაზეთი, 12. მასალა კერამიკული ნაკეთობისათვის, 13. კენკროვანი ხილი, 15. უდანაშაულობის საბუთი, 17. ცხენოსნის შარვალი, 20. ქართველი კომპოზიტორი, 21. სახურავი, 24. საზღვარზე გადასახადი, 26. რევოლუციის ტრიბუნი, 27. ჩამოსასხმელი მასალის ფორმა, 30. გამწევი ძალა, 31. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. საჭიდაო, 7. „ლუჟნიკი“, 8. კოხტაგორა, 11. კროლი, 12. კეგლი, 13. ხლუსი, 16. „ქორები“, 17. პროსტი, 21. შავლო, 22. „ავაზა“, 23. წნევა, 26. მწვრთნელი, 27. მხედარი, 28. ამანათი.

შვეულად: 1. ბაიდარა, 2. კანოე, 3. ბუერი, 4. იკაროსი, 6. ფლანგი, 9. ალბერვილი, 10. კლინსმანი, 14. დუბლი, 15. „გორდა“, 18. ჩახმახი, 19. „ქართლი“, 20. ოვერატი, 24. უწერა, 25 სლემი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.
„ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები მ. წოწორია, ნ.რამიშვილი, ვ. სურმავა